ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 17 მარტი 2001 №47 (1320) | ფასი 50 თეთრი


ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

## საქართველო - ესპანეთი

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 15 საათი

ბადრი კეთილაძის ფოტო




# საქართველოს გამარჯვება უნდა. სჭირდება!

European Nations Cup
Championnat Europen des Nations

აი, ჩვენი პირველი ხაზი!

რუსეთში ბრძოლაგადახდილი ბორჯღალოსნები რუსთავის მინდორზე ელიან ახალ მოწინააღმდეგეს, ესპანეთის ნაკრებს.

სპორტი ისეთი რამაა, რომ გამარჯვებამ მიჩვევა იცის. სიძლიერის ერთ-ერთი ნიშანიც ხომ გამარჯვების შეჩვევაა. საკუთარი ძალის რწმენა, წინსვლის წყურვილი და სახალხო სიხარული. საქართველოს მორაგბეებმა ჩვენც შეგვაჩვიეს დავიწყებულ რამეებს და ახლა რაგბის მოყვარესა და ქომაგს, ან უბრალოდ, საქართველოს მოყვარეს, თავისი გუნდის გამარჯვება სწადია.

ესპანეთი რომ რუსეთს არაფრით ჩამოუვარდება, ესეც ადრიდანვე ვიცით, მაგრამ ისიც გვახსოვს, რომ ბორჯღალის გუნდი ოდენ ჯიგრისა და გულის იმედად არ არის. მას დღითიდღე ემატება ცოდნა, ოსტატობა და გამოცდილება.

ბრძოლაც არის და ბრძოლაც. საქართველო კვლავ მწყობრშია, საქართველო კვლავ ომშია, საქართველო თამაშშია! ეს ყველაფერი სპორტია, რომელსაც რაგბი ჰქვია.

საქართველომ იცის რაგბის თამაში, საქართველომ იცის, როგორ მოიგოს!

საქართველო იბრძოლებს!

## ჩემპიონთა ლიგა
### მეოთხედფინალი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მანჩესტერ იუნაიტედი — ბაიერნი
გალათასარაი — რეალი
ლიდს იუნაიტედი — დეპორტივო
არსენალი — ვალენსია

კარგი იქნება ჯიგრიანი „ლიდსისა“ და დახვეწილი „დეპორტივოს“ მეოთხედფინალური შეხვედრები.

კარგი იქნება მებრძოლი „არსენალისა“ და მოხდენილი „ვალენსიას“ დაპირისპირება.

არც უზადო „რეალისა“ და ამ ბოლო დროს გაყოყლოჩინებული „გალათასარაის“ მატჩებს დაეწუნებათ რამე, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბაიერნი“ მაინც სულ სხვა ამბავია. რატომ? აბა, ფოტოს დახედეთ, 1999 წლის 26 მაისი, ბარსელონა, „კამპ ნოუ“ გაიხსენეთ...

დიახ, გუშინ შვეიცარიულ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში მოწყობილმა ჩემპიონთა ლიგის წილისყრამ ორი წლის წინანდელი საოცარი ფინალის მონაწილენი მეოთხედფინალში შეახვედრა ერთმანეთს.

„ვიცით, რომ „ბაიერნი“ რევანშის აღებას შეეცდება, თუმცა მასთან შეხვედრა მაინც სასიამოვნოა“, თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ გენერალურმა მდივანმა კენ მერეტმა წილისყრის დასრულებისთანავე.

„ჩვენი შეხვედრა ხალხისთვის ფესტივალი იქნება“, დაამატა გერმანელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა.

ფეხბურთის გურმანთ სხვა რაღა გვინდა, ერთია მხოლოდ, ფესტივალი აპრილის დამდეგს დაიწყება.


ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის წილისყრის შედეგები
და კომენტარები იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდებზე


## უეფას თასი
### ნახევარფინალი

UEFA CUP

ბარსელონა — ლივერპული
ალავესი — კაიზერსლაუტერნი




1999 წლის 26 მაისი. მანჩესტერ იუნაიტედი — ბაიერნი. ტედი შერინგემისგან (№10) ბურთი ოლე გუნარ სოლსკიაერს მიუვა და... ამ გოლმა მაშინ მთელი საფეხბურთო სამყარო შეძრა

სარბიელის არქივიდან

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი. 28 მარტი

საქართველო — რუმინეთი

# იტალიელები რუმინეთს მოილევენ და ქართველებს მოადგებიან

**28 მარტის** საქართველო — რუმინეთის შესარჩევ მატჩს იტალიის ნაკრების მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის ერთ-ერთი თანაშემწე დაესწრება. 28 მარტამდე იტალიელებს რუმინელებთან შესარჩევ ჯგუფში საქმე მომთავრებული ექნებათ და გამოდის, რომ ის კაცი მხოლოდ ჩვენებურების დასაზვერად ჩამობრძანდება. ამის თაობაზე იტალიიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გუშინ აცნობეს და აქედანაც, რა თქმა უნდა, მასპინძლობას შეჰპირდნენ.

ჯერჯერობით კიდევ ისაა ცნობილი, რომ საქართველო — რუმინეთის მატჩისთვის თბილისში გერმანიის „ფრაიბურგის" მწვრთნელი ფოლკერ ფინკეც ჩამოვა. მან, როგორც გვითხრეს, „ფრაიბურგში" მოთამაშე სამი ქართველის — ლევან კობიაშვილის, ლევან ცქიტიშვილისა და ალექსანდრე იაშვილის მომზადების დონე ერთხელაც უნდა შეამოწმოს, თუმც გვეეჭვება, რომ ფინკე თბილისს მხოლოდ ამის გამო ესტუმრება. ალბათ, ის სხვა ქართველი ფეხბურთელებითაც არის დაინტერესებული.

და კიდევ. 28 მარტის მატჩს სატელევიზიო კომპანია „ტელესპორტის" პრეზიდენტი კლაუს ანდრესი დაესწრება. საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებთა თამაშების სატელევიზიო ჩვენებათა უფლებას სწორედ ეს კომპანია ფლობს და ანდრესსაც გადაუწყვეტია, ორივე კლიენტის მატჩს ტრიბუნიდან უცქიროს.

**კობა ინასარიძე**

# პროჟექტორებიანი ღამე

## 28 მარტიდან ეროვნული მრავალჯერად განათდება

**არ სჯობდა**, ეს საქმე აქამდე გაკეთებულიყო?

ბორის პაიჭაძის ეროვნული სტადიონი „ტორპედოს" მერე მეორე სარბიელი იქნება საქართველოში, რომლის განათებაც მთლიანად უპასუხებს უეფას სტანდარტებს.

სანერვიულო არაფერია. თბილისის მერიამ, რომელიც ეროვნული სტადიონის აქციათა 60 პროცენტის მფლობელია, გერმანულ ფირმა „სიმენსს" დაახლოებით 300 ათასი დოლარი გადაუხადა, რის სანაცვლოდაც ქვეყნის, ჯერაც უპირველესი არენა, არა მარტო საქართველო — რუმინეთის 28 მარტის მატჩისთვის განათდება შესაბამისად, არამედ — მუდმივად.

როგორც იქნა, თემა, რომელზედაც, ამდენ ხანს იყო ლაპარაკი, ამოწურულად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ეროვნულ სტადიონზე განათება 1500 ლუქსი იქნება,რაც უეფას მოთხოვნას დააკმაყოფილებს და ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელებსაც შეეძლებათ, მატჩები საღამოს დაიწყონ.

საკითხავი ერთია — სტადიონზე რომ 1500-ლუქსიანი განათება დაემონტაჟებინათ, აუცილებლად საქართველო — რუმინეთის შესარჩევი მატჩი უნდა ჩატარებულიყო?

**კობა ინასარიძე**

# ჯერ უეფაში, მერე ნაკრებთან

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია 21 მარტს ჟენევას ესტუმრებიან და მეორე დღეს, უეფას მიერ ახალი სატრანსფერო სისტემის თაობაზე, ევროპულ კოლეგებთან ისაუბრებენ. გეხსომებათ, ამას წინათ ფიფა-უეფა-ევროკავშირი შეთანხმდნენ, რომ ფეხბურთელთა ტრანსფერები ისე განხორციელდეს, ადამიანის უფლებები არ დაირღვესო და ახლა უეფამ თავის წევრი ქვეყნების ფედერაციათა პრეზიდენტები და გენერალური მდივნები ახალი წესკანონების გასაცნობად მიიწვია.

22 მარტსვე ჟორდანია და ჩოლარია გერმანიას გაფრინდებიან და დიუსელდორფის მახლობლად მდებარე ჰენევში საქართველოს ნაკრებს ჩააკვითხავენ, რომელიც რუმინეთთან შესარჩევი მატჩისთვის სწორედ იქ მოემზადება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები 23 მარტს ჩვენი ეროვნული გუნდის საწვრთნელ მატჩს დაესწრებიან, სავარაუდოდ, გერმანიის რეგიონალლიგის ერთ-ერთ გუნდთან, საღამოს კი კრებას ჩაატარებენ. გენერალური მდივანი თბილისში 24 მარტს ჩამოფრინდება, რათა რუმინელთა დასახვედრად საორგანიზაციო საკითხები მოაგვაროს, პრეზიდენტი კი ნაკრებს გამოჰყვება.

**კობა ინასარიძე**

# ჯაკობიას უწყება ჩააბარეს

## 27 მარტს რუმინელებთან ითამაშებო

**ჩვეულებრივად** მიდის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდის ლაშა ჯაკობიას რეაბილიტაციის პროცესი. „აალსტის" კუნთგაწყვეტილმა ქართველმა ლეგიონერმა რამდენიმე დღის წინ გუნდთან ერთად განაახლა ვარჯიში და წუხელ „აალსტის" სარეზერვო შემადგენლობაში საკონტროლო მატჩშიც ითამაშა.

„ექიმთა ცნობით, გაწყვეტილი კუნთი თითქმის აღმიდგა, ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშის საშუალება მაქვს და რამდენიმე დღეში სრული დატვირთვით მოქმედებაც შემეძლება, მაგრამ არ ვჩქარობ, თავს ვზოგავ, მე ხომ მეტად საპასუხისმგებლო მატჩი მელის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში" — გვითხრა გუშინ ჯაკობიამ.

როგორც იცით, 27 მარტს ხურცილავას გუნდი რუმინეთის ახალგაზრდულს უმასპინძლებს. საამხანაგო მატჩისთვის მწვრთნელებმა „აალსტის" ფორვარდიც გამოიძახეს.

„ნაკრებში გამოძახების ფურცელი რამდენიმე საათის წინ მომივიდა და ძალიანაც გავიხარე. ხვალ „აალსტის" ხელმძღვანელებს შევხვდები, არა მგონია, პრობლემები შემიქმნან, ჯერ ერთი უფლება არა აქვთ, მეორეც, ბელგიის ჩემპიონატში ორშაბათიდან ორკვირიანი შესვენებაა და „აალსტსაც" აღარ დავჭირდები. ამრიგად, 20 მარტისთვის თბილისში ვიქნები".

სწორედ 20 მარტს შეკრებენ ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელები გუნდს და ლაშასაც რუმინეთამდე ერთი კვირა ექნება მატჩისთვის სრულად მოსამზადებლად. იმედია, ჯაკობიას ახალგაზრდულ ნაკრებში დაბრუნება წარმატების მომტანი აღმოჩნდება ჩვენი გუნდისთვის.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ადირსეს

**ვახტანგ იაგორაშვილი** თბილისის „დინამოს" იანვრის ბოლოს შეუერთდა. ყოფილმა კლუბმა, ობერლიგის კიოლნის „პროიზენმა" გათავისუფლების ფურცელი მაშინვე მისცა, მაგრამ ფორმალობების ბოლომდე მოგვარება მეტად გაჭიანაურდა.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის ერთ-ერთი რეგიონული ფილიალი გაურკვეველი მიზეზის გამო აყოვნებდა დოკუმენტაციის სფფ-ში გამოგზავნას. ამის გამო იაგორაშვილს უფლება არ ჰქონდა, „დინამოში" ოფიციალური მატჩები ჩაეტარებინა.

ახლახან კი, გერმანელებმა როგორც იქნა, საშველი დააყენეს ამ საქმეს — ფორმალობების მოგვარებას წერტილი დაესვა და ვახტანგ იაგორაშვილი ხვალ, ალბათ, ითამაშებს „იბერიის" წინააღმდეგ. გერმანიამოვლილმა ფეხბურთელმა ჩვენს ათგზის ჩემპიონთან წლინახევრიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

**დავით თაგართქილაძე**

ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

20 მარტს, 12 საათზე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში გაიმართება დეპარტამენტის თავმჯდომარის, ირაკლი მეძმარიაშვილის პრესკონფერენცია.

გაფრთხილებთ

ერთი ღერი სიგარეტის მოწევა სიცოცხლეს 7 წუთით ამცირებს.

დაარქვით სიგარეტს სახელი,
გადააგდეთ შხამი!

თამბაქოს საწინააღმდეგო ეროვნული ცენტრი

დამატებითი ინფორმაცია და უფასო კონსულტაცია: 30-64-44

### ჰოლანდია

XXV ტური

როზენდალი 0:3 ვიტესი

ნებისმიერი საფეხბურთო ანგარიში, უახლესი ინფორმაციები NHL და NBA.

ცნობები ცნობილაძისგან.

ტელ. 8-22-00-90-11.

1 წუთის ღირებულება 50 თეთრი.

# პროგრესი სამ საფეხურად

**თბილისში** უეფას მიერ მოწყობილი კიდევ ორი პროგრეს-კურსი ჩატარდება.

ივნისში ქართული კლუბების ადმინისტრატორები კვლავ შეიკრიბებიან და უეფას ადმინისტრაციული კომიტეტის უფროსის, ლუქსემბურგელი რომერია ლუქსის ლექციებს მოისმენენ. ივნისშივე თბილისში უეფასგან გამოგზავნილი აუდიტორები ჩამოვლენ და ფეხბურთის ფედერაციაში თავის საქმეს გააკეთებენ, დეკემბერში კი მთავარი, მწვრთნელთა პროგრეს-კურსები ჩატარდება, რომელსაც ბელგიელი მწვრთნელი მიშელ საბლონი უხელმძღვანელებს.

ერთი სიტყვით, უეფა ნელ-ნელა საქართველოსაც ეჩვევა და ამით მხოლოდ ჩვენებურები თუ იხეირებენ.

**ლუკა თალაკვაძე**



„კიოლნი" — „ვოლფსბურგი" არჩილ არველაძემ და მისმა თანაგუნდელებმა შინ მხოლოდ ქულა იგმარეს

### გერმანია

XXVI ტური

კიოლნი 0:0 ვოლფსბურგი

II ბუნდესლიგა

XXVI ტური

ალემანია 1:0 ზაარბრიუკენი

კიკერსი 2:0 ჰანოვერი

### ინგლისი

II დივიზიონი

XXXVIII ტური

ბრისტოლი 2:1 მილუოლი

კოლჩესტერი 3:1 ბრენტფორდი

### საფრანგეთი

II დივიზიონი

XXXI ტური

ნანსი 2:0 აიაჩო

ლორიანი 2:1 მონპელიე

### იტალია

სერია B

XXVII ტური

ტრევიზო 0:1 ვენეცია

### პორტუგალია

XXIV ტური

ბოავიშტა 3:1 კამპომაიორენსე

### ჩეხეთი

XXI ტური

სპარტა 4:4 სლავია

### თურქეთი

XXV ტური

კოჯაელი 1:0 სამსუნი

### ავსტრია

XXVI ტური

ტიროლი 1:2 აუსტრია

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

# 21 ტური
ანონსი

# ვინ იქნება მეექვსე?

წვიმდა 25 ოქტომბერს თბილისში. დატბორილიყო „სინათლე“ და წყალბურთს უფრო წააგავდა პირველი წრის „მერან“ — „ბათუმის“ ორთაბრძოლა. სტუმრებმა მაშინ შეძლეს ქულის მოპოვება. მასპინძლების პირველ ტაიმში გატანილი გოლი თამაშის ბოლოს პენალტით გაქვითეს.

ამინდს ისეთი პირი უჩანს, რომ ხვალაც იწვიმებს ბათუმში. ხვალვე შეიძლება პასუხი მივიღოთ ერთ საინტერესო კითხვაზე — „მერანი“ თუ „ბათუმი“?!

ოცდამეერთე ტურს ერთი მატჩიც გამოარჩევს. საინტერესო შეხვედრაა „კოლხეთი“ — „ვიტ ჯორჯია“, თუმცა, შედეგის მიუხედავად, ამათი ექვსეულში მოხვედრა გადაწყვეტილი ამბავია.

თამაშებია ქუთაისში, თბილისსა და ბოლნისში, მაგრამ ზემოხსენებული ერთი მატჩის გარდა, საკვანძო არც ერთია და სავარაუდოდ, არც გათამაშების ცხრილში უნდა ველოდეთ ცვლილებებს.

## ტურის ცენტრალური მატჩი

ბათუმი. „დინამო“. 18 მარტი. 15 საათი

## ბათუმი — მერანი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ვ. ჩოჩიშვილი, მ. ელიკაშვილი (სამივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი
**დისკვალიფიცირებული:** პაპიძე (ბათუმი)

25 ოქტომბრის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ორივე გუნდმა იცვალა სახე, ამას სხვადასხვა პრობლემებიც დავუმატოთ და ვნახავთ, რომ ბალაძესა და გაბელიას საფიქრალი ბლომად გასჩენიათ.

თუ ექვსეულში მოხვედრა სურს, „ბათუმმა“ მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქროს. ყველა სხვა შემთხვევაში ბურთი და მოედანი „მერანისაა“.

ბალაძე ხვალ ვერ დაიხმარს გორში გაძევებულ ზვიად პაპიძეს. ამიტომ არ არის გამორიცხული, მწვრთნელმა ლიბერო მინდაძეს ცენტრალური ნახევარმცველი გელა ქორიძე შეუწყვილოს. ქორიძის უკან დახევა შუა ხაზში ტულუშს უთავისუფლებს ადგილს, თუმც შესაძლოა ნახევარდაცვაში რომანაძე ვიხილოთ.

თავდასხმაში ყველაფერი ნათელია — სტუმართა კარს აფხაზავა და მაჭუტაძე შეუტევენ. ბალაძის ბანაკში არავინაა ტრავმირებული. მასპინძლებს სხვა არჩევანიც აქვთ და ვნახოთ, როგორ თერთმეტეულს ამჯობინებს მწვრთნელი.

ახლა ავჭალელთა გასაჭირი ვიკითხოთ. გაბელიას დაუბრუნდა მუხლმტკივანი გიორგი დავითნიძე. მუხინიც მომჯობინდა და ხუციშვილსაც დაამება „ტორპედოსთან“ ნატკენი ფეხი.

გაბელიას აკაკი დევაძე და მიხეილ ფოცხვერიაც რომ ჰყავდეს, გაცილებით თამამად შეუტევდა მასპინძლებს, მაგრამ... ხვალ კარში ნაჭყეპია ჩადგება, ხოლო გოდერძიშვილს ისევ მინაშვილი შეუწყვილდება, რომელმაც „ტორპედოსთან“ მატჩი უფერულად ჩაატარა.

დროა, სტატისტიკასაც გადავავლოთ თვალი. იქნებ ცოტა უცნაურადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია — „მერანი“ და „ბათუმი“ მეთერთმეტე ეროვნულში ერთმანეთს არ შეხვედრიან. სხვადასხვა ზონაში მოთამაშე გუნდებს გაზაფხულზე განსხვავებული მიზნები ამოძრავებდათ.

მეათე ეროვნულში უპირატესობა ავჭალელებისა იყო. შინ 1:0 იძალა „მერანმა“, ხოლო სტუმრად 0:0 ითამაშა.

მეცხრე გათამაშებაში „ბათუმმა“ 2:1 მოიგო „სინათლეზე“, ხოლო შინ გოლი ვერ გაუტანა მეტოქეს და 0:0-ს დასჯერდა.

მერვე ჩემპიონატში „მერანმა“ შინ 0:0 კი გააზერხა, მაგრამ სტუმრად სამი უპასუხო გოლით დაეჩაგვრინა „ბათუმს“.

სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ბათუმი“ — „მერანის“ დაპირისპირებაში 0:0 მეტად პოპულარული ანგარიშია. ავჭალელები ამაზე ყაბულს არიან, მაგრამ, აბა, ბათუმელებს ჰკითხეთ...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბათუმი:** ქანტურია, ი. მახარაძე, მინდაძე, მჟავანაძე, დარჩიძე, ლლონტი, გელა ქორიძე, ტულუში, ა. მუჯირი, აფხაზავა, მაჭუტაძე
**მერანი:** ნაჭყეპია, გოგიტაძე, გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, ჩხაიძე, დევიძე, კოშკაძე, ზ. კვეკვესკირი, დ. გოდერძიშვილი, მინაშვილი

## მწვრთნელთა მატჩისწინა კომენტარი

***ასლან ბალაძე, „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი***

— ამ თამაშისთვის სერიოზულად ვემზადებით. უკანდასახევი გზა მოჭრილი გვაქვს, თანაც მატჩის მოგება ჩვენთვის პრესტიჟის ამბავიცაა. თუ „მერანს“ ვერ დავამარცხებთ, ექვსეულში მოხვედრის შანსს ვკარგავთ.

— ექვსეულში გაღწევა ჩვენთვის იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ გუნდი ახლა ჩამოყალიბების პროცესშია და ძლიერ მეტოქეებთან თამაში გამოაწრთობს. ეს ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც ერთობ წაადგებათ.

— წარუმატებლობის შემთხვევაში კი ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. „ბათუმში“ თაობათა ცვლა მიმდინარეობს და კარგი გუნდი ერთი ხელის მოსმით არ კეთდება. თუმცა, რა თქმა უნდა, მთელი შემართებით ვიბრძოლებთ, რათა დავამტკიცოთ, რომ „ბათუმი“ სოლიდური ძალაა.

— „მერანი“ საგაზაფხულო ეტაპისთვის რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერდა. თანაც, გუნდს ოთარ გაბელია ჩაუდგა სათავეში. მას ძალიან დიდ პატივს ვცემ და მისი სტუმრობა ჩვენთვის სასიამოვნოა, მაგრამ მოედანზე ომი გვექნება. „მერანს“ კარგად ვიცნობთ. ამ გუნდს საგაზაფხულო ეტაპზე ჯერ არ წაუგია, მაგრამ დაუძლეველი არაფერია.

— ეს მატჩი პირადად ჩემთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია, დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს, მე ხომ ახალბედა მწვრთნელი ვარ.

***ოთარ გაბელია, „მერანის“ მთავარი მწვრთნელი.***

— ბათუმში საბრძოლველად მივდივართ. ამ შეხვედრაში ექვსეულში გამსვლელის ბედი წყდება. ჩვენ ფრეც ხელს გვაძლევს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერს არ გავიღებთ მოგებისთვის.

— „ბათუმი“ საქმეში „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში ვნახე. ჩვენი მეტოქე კარგი გუნდია. „ბათუმი“ რომ ოდენ ექვსეულში გასასვლელად იბრძვის, მის ტრადიციებს არ ეკადრება, მაგრამ პრინციპში ეს გუნდი ყველაფერს თავიდან იწყებს.

— საგაზაფხულო ეტაპზე ჩემი გუნდის თამაშის ხარისხით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ, თუმც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ სამივე მატჩი საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან ვითამაშეთ. ყველა ეს შეხვედრა ძალიან დაძაბულად წარიმართა, რამაც ფსიქოლოგიურად იმოქმედა ფეხბურთელებზე და ასეთ დროს გახსნილი და ლაღი თამაშის ჩვენება ერთობ ძნელია.

— „ბათუმთან“ სტუმრად გვიწევს თამაში და ეს არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია, მაგრამ შანსებს მაინც ორმოცდაათი ორმოცდაათზე ვაფასებ.



„მერანი“ — „ბათუმი“: დავით გოდერძიშვილი მეტოქეებს და ტალახს ებრძვის

[illegible] ფოტო

თბილისი. „დილმის ბაზა“. 18 მარტი. 15 საათი

## დინამო — იბერია

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი, გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი); მ. მაისურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია
**დისკვალიფიცირებული:** გ. ვ. მიქაძე (დინამო)

„დინამოს“ და „იბერიას“ ადრინდელი ბრძოლები ბევრს უნდა ახსოვდეს. თამაში და ინტერესი თუ იყო, მაშინ იყო. დღეს „დინამო“ რაცაა, ხომ ვიცით, ხოლო „იბერია“ ვისია, სამტრედიისა თუ თბილისის, ვერავის გაურკვევია. ალბათ, ათგზის ჩემპიონი ხვალაც მოიგებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დინამო:** ბათიაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, ზამთარაძე, კანდელაკი, ა. სახვაძე, მაწკავა, მაზიაშვილი, ბურდული, ზირაქიშვილი, იაგორაშვილი
**იბერია:** ჩლაიძე, შ. ლაცაბიძე, ამისულაშვილი, ნინუა, მიქელთაძე, სანიკიძე, გაგუა, ხიზანიშვილი, თარგამაძე, კაჭარავა, გულორდავა

ქუთაისი. „ტორპედო“. 18 მარტი. 15 საათი

## ტორპედო — თსუ

**მსაჯები:** დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე
**დისკვალიფიცირებული:** ზ. მეტრეველი (თსუ)

ჩემპიონი, ალბათ, შანსს ხელიდან არ გაუშვებს და ახალგაზრდა თსუ-ს გაუსწორდება. რიონისპირელებს მალხაზ ასათიანი და გიორგი იმედაძე დაემატებათ. ასათიანს კოჭი აწუხებდა, იმედაძე კი ახალგაზრდულ გუნდში იყო გამოძახებული. ქუთაისში მოულოდნელად დაბრუნდნენ სარატოვში გადაბარგებული იონანიძე და ხვადაგიანი. ერთადერთი ტრავმირებული ვალტერ გუჩუა გახლავთ, რომელსაც ექიმებმა ტვინის შერყევის ნიშნები დაუდგინეს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ტორპედო:** გვარამიძე, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, ასათიანი, ჯანაშია, აშვეთია, იონანიძე
**თსუ:** მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე, ბერიანიძე, არეშიძე, მესხი, ზ. გვაზავა, ახალაძე, შოშიაშვილი, დათუნაიშვილი, ბეროშვილი

თბილისი. „26 მაისი“. 18 მარტი. 15 საათი

## ლოკომოტივი — დილა

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ზ. დოლიძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა
**დისკვალიფიცირებული:** ა. ხმალაძე (დილა)

როგორც არ უნდა მოინდომოს „დილამ“, ხვალ ვაკეში „ლოკომოტივია“ ფავორიტი. რკინიგზელთა თავკაცის ერთადერთი პრობლემა ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა გახლავთ. ფეხბურთელები კი ასარჩევად ჰყავს ნოდიას.

„დილამ“ ხვალ ქულის მოპოვებაც რომ შეძლოს, ჩათვალეთ, ტურის სენსაცია გაიჩარხა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, შელია, ზ. ლაცაბიძე, კვარაცხელია, ქიქველიშვილი, დათვაძე, რუსია, გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ფეზუაშვილი, ლომიძე, საყვარელიძე, კოტორაშვილი, ხორგუაშვილი

ბოლნისი. „თემურ სტეფანია“. 18 მარტი. 15 საათი

## სიონი — გორდა

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე
**დისკვალიფიცირებულნი:** ასპინძელაშვილი, სოლოლაშვილი (სიონი)

სპარტაკ არჩვაძე ჯერაც არ დაბრუნებია „სიონს“. მთავარი მწვრთნელი მშობლიურ საჩხერეში იმყოფება მკურნალ ექიმთან. არჩვაძე ნერვულ სისტემას შეუწუხებია. მის არყოფნაში გიორგი ყიფშიძე წინამძღოლობს გუნდს. სტუმარ-მასპინძელს ექვსეულში შეღწევის შანსი არა აქვს, ბუნებრივია, სანერვიულო ბევრიც არაფერია და ბოლნისში ლაღი თამაში უნდა იყოს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სიონი:** ვოლკოვი, მინდიაშვილი, სიდამონიძე, ირემაშვილი, მოსეშვილი, ბ. შენგელია, მ. გოგოლაძე, ისიანი, დავითაშვილი, კ. გოგოლაძე, გაბისონია
**გორდა:** ბედიაშვილი, ლაშა სილაგაძე, ა. ბურნაძე, ა. გელაძე, ბერიძე, ბექაური, თ. მეტრეველი, მელაძე, კ. ალადაშვილი, მიშველიძე, ჯულელი

ფოთი. „ფაზისი“. 18 მარტი. 15 საათი

## კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. მეშკოვი (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი
**დისკვალიფიცირებულნი:** ე. გვასალია, მუმლაძე (კოლხეთი)

სწორედ „კოლხეთია“ ის გუნდი, რომელიც ძალიან უხერხული მეტოქეა ვეტერინარებისთვის. ფოთელებმა მხოლოდ ერთხელ, მეცხრე გათამაშებაში წააგეს ვიტელებთან, „ფაზისზე“ ხომ შანსიც არასდროს მიუციათ მეტოქისთვის.

პირველ წრეში ისევ „კოლხეთმა“ იძალა მცხეთაში. გოგიტა ქუნთელიას შორეულმა დარტყმამ დაამარცხა მასპინძლები.

ვნახოთ, იქნებ ხვალ გატეხონ ნავსი ახალგაზრდა ვიტელებმა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**კოლხეთი:** ქაჩახია, ფანჩულიძე, ტორჩინავა, გოროზია, ქობულაძე, ბკობია, კვირკველია, ლალანიძე, შალამბერიძე, წივწივაძე, ხუროძე
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, იაშკირველი, საჯაია, კობიაშვილი, ლ. ნოზაძე, გოგობერიშვილი, დოლმელაშვილი, ყიფიანი, დოლიძე, წუწუნავა, ადამია

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლოკომოტივი | 20 | 16 | 2 | 2 | 35:7 | 28 | 50 | 10 | 9 | 0 | 1 | 22:3 | 19 | 27 | 10 | 7 | 2 | 1 | 13:4 | 9 | 23 |
| 2 ტორპედო | 20 | 13 | 5 | 2 | 31:7 | 24 | 44 | 10 | 7 | 2 | 1 | 17:4 | 13 | 23 | 10 | 6 | 3 | 1 | 14:3 | 11 | 21 |
| 3 დინამო | 20 | 13 | 3 | 4 | 47:19 | 28 | 42 | 10 | 8 | 0 | 2 | 30:7 | 23 | 24 | 10 | 5 | 3 | 2 | 17:12 | 5 | 18 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 20 | 10 | 6 | 4 | 28:14 | 14 | 36 | 10 | 7 | 1 | 2 | 13:2 | 11 | 22 | 10 | 3 | 5 | 2 | 15:12 | 3 | 14 |
| 5 კოლხეთი | 20 | 8 | 6 | 6 | 21:16 | 5 | 30 | 10 | 5 | 4 | 1 | 8:4 | 4 | 19 | 10 | 3 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 11 |
| 6 მერანი | 20 | 7 | 8 | 5 | 20:19 | 1 | 29 | 10 | 4 | 6 | 0 | 12:6 | 6 | 18 | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 11 |
| 7 ბათუმი | 20 | 7 | 4 | 9 | 28:27 | 1 | 25 | 10 | 5 | 2 | 3 | 19:14 | 5 | 17 | 10 | 2 | 2 | 6 | 9:13 | -4 | 8 |
| 8 სიონი | 20 | 6 | 4 | 10 | 15:28 | -13 | 22 | 10 | 2 | 3 | 5 | 8:13 | -5 | 9 | 10 | 4 | 1 | 5 | 7:15 | -8 | 13 |
| 9 გორდა | 20 | 3 | 9 | 8 | 15:25 | -10 | 18 | 10 | 3 | 5 | 2 | 12:8 | 4 | 14 | 10 | 0 | 4 | 6 | 3:17 | -14 | 4 |
| 10 თსუ | 20 | 5 | 3 | 12 | 19:35 | -16 | 18 | 10 | 3 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 10 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 11 დილა | 20 | 4 | 3 | 13 | 13:39 | -26 | 15 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:17 | -6 | 11 | 10 | 1 | 1 | 8 | 2:22 | -20 | 4 |
| 12 იბერია | 20 | 0 | 3 | 17 | 3:39 | -36 | 3 | 10 | 0 | 2 | 8 | 1:19 | -18 | 2 | 10 | 0 | 1 | 9 | 2:20 | -18 | 1 |

# აპრილია შენი

## გიორგი დეკანოსიძეს მეორე ბუნდესლიგაში დებიუტი გადაუდეს



გიორგი დეკანოსიძე (№3)

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის გიორგი დეკანოსიძის „ფიურტი" დღეს პრინციპულ მატჩს გამართავს სტუმრად ლიდერ „ნიურნბერგთან".

„ფიურტის" თავკაცი გიუნტერ ერკენბრეხერი მარტის დასაწყისში ქართველ ლეგიონერს დაჰპირდა, ორ კვირაში ოფიციალურ დებიუტს მოგიწყობო, მაგრამ, როგორც ჩანს, დეკანოსიძე ვერც დღეს და ვერც მომდევნო ტურში ითამაშებს „ფიურტის" შემადგენლობაში.

საქმე ის გახლავთ, რომ ერკენბრეხერმა ადგილობრივი ტელეარხისთვის რამდენიმე დღის წინ მიცემულ ინტერვიუში ქართველ ლეგიონერზეც ილაპარაკა: ჩვენს გუნდში გადმოსვლისას დეკანოსიძე ფსიქოლოგიურად ძალიან კარგად გამოიყურებოდა, შემდეგ შეუჩვეველმა ფიზიკურმა დატვირთვებმა მასზე ერთობ იმოქმედა, მაგრამ მოვლენები სასიკეთოდ იცვლება, ქართველი დღითი დღე უახლოვდება ჩვენთვის სასურველ ფორმას და, ვფიქრობ, აპრილისთვის ძირითადი გუნდისთვის მზად იქნება".

თავად დეკანოსიძე კი დროს უქმად არ კარგავს, გუშინწინ „ფიურტის" სარეზერვო გუნდმა სამოყვარულო „მილტახი" გაანადგურა — 7:2, რაშიც ლომის წილი გიორგიმაც დაიდო.

„შეუცვლელად ვითამაშე და, მგონი, არც ურიგოდ. რთული მატჩი არ ყოფილა, მაგრამ მეტოქეს როგორც შეეძლო, ისე გვებრძოდა. ორი გოლი გავიტანე და ერთხელაც საგოლე გადაცემა გავუკეთე თანაგუნდელს" — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას გიორგიმ.

ერკენბრეხერის სიტყვებს დიდად არც აულელვებია ქართველი ლეგიონერი — „საჩქარო რა მაქვს, ჩემი დროც დადგება, მთავარია, მწვრთნელს თვალთახედვის არეში ვყავარ და ჩემი ეიმედება".

**ბაათა ძვანტალიანი**

# შალამბერიძე მოედანზე, გვასალია ტრიბუნაზე



ჯონი შალამბერიძე და ელდარ გვასალია

**რაც** ეროვნული ჩემპიონატი განახლდა, ჩატარებულ სამ მატჩში ფოთის „კოლხეთის" მწვრთნელმა სოსო ფილიამ ზამთრის მთავარი შენაძენის, ნახევარმცველ ჯონი შალამბერიძის გამოყენება ვერ შეძლო. იგი არ გამოჩენილა არც „დინამოსთან" და არც „ბათუმთან" მატჩებში. ველოდით, ეგებ შალამბერიძემ „ლოკომოტივთან" ითამაშოსო. მით უმეტეს, ამის თაობაზე თავადვე განუცხადა „სარბიელს" რკინიგზელებთან მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, მაგრამ მისი გვარი ვერც ამ შეხვედრის ოქმში ვიხილეთ.

ცხადია, დავინტერესდით და შალამბერიძის უთამაშებლობის მიზეზიც შევიტყვეთ: ფეხბურთელს თურმე საზარდული აწუხებდა, იმკურნალა და სამი დღეა, ვარჯიშს შეუდგა. ჰოდა, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ჯონი შალამბერიძე „ვიტ ჯორჯიასთან" ხვალინდელ პრინციპულ საშინაო შეხვედრას სასტარტოში დაიწყებს. მისი სოსო ფილიასაც დიდად ეიმედება.

კოლხებს შალამბერიძე კი დაემატათ, მაგრამ ვიტელებთან ერთი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდებათ: „ლოკომოტივთან" მატჩის 42-ე წუთზე მიღებული ყვითელი ბარათი თავდამსხმელ ელდარ გვასალიასთვის ჯამში მესამე გამოდგა. ელდარიც „ვიტ ჯორჯიასთან" შეხვედრას ტრიბუნიდან ადევნებს თვალს.

**გიორგი გუგაძიძე**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**
**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**მობრძანდით, გვეწვიეთ: კმაყოფილი დარჩებით**

UEFA CUP

## უეფას თასი. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

# როცა გყავს რივალდო, არ უნდა იდარდო!

**რაიო ვალეკანო 2:1 ალავესი (0:3)**
0:1 კრუიფი (19), 1:1 კევედო (41), 2:1 სემბრანოსი (79პ)
**რაიო ვალეკანო:** ლოპეტეგი, ურბანო, მინგო (ალკასარი 69), ბალესტეროსი, გლაუბიო, პოშნერი, კევედო, მიჩელი, სემბრანოსი, ბოლო (ბარტელტი 65), ბოლიჩი
**მწვრთნელი:** ხუანდე რამოსი
**ალავესი:** ერერა, კონტრა, სარიეგი, კარმონა, ეგენი, იბონ ბეგონია, დესიო, ტომიჩი (პაბლო 73), მაგნო (ვუკო 59), კრუიფი (ასკოიტია 69), ივან ალონსო
**მწვრთნელი:** ხოსე მანუელ ესნალ პარდო
**გაფრთხილება:** მაგნო, ბალესტეროსი, ვუკო, ივან ალონსო, სემბრანოსი, კევედო
**მსაჯი:** კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
9 500 მაყურებელი

**სასწაული** უნდა მომხდარიყო, „რაიოს“ რომ ორი მატჩის ჯამში მოეგო. 0:3 საკმაო ჩამორჩენაა, თანაც „ალავესის“ დარ უხერხულ მოწინააღმდეგესთან. შეგახსენებთ, ესპანური პრიმერადივიზიონის ორივე შეხვედრაში ალავესელმა ბასკებმა იძალეს.

„რაიოს“ ქომაგები თავისიანთა უმწეობაში მალევე დარწმუნდნენ. მე-19 წუთზე ლეგენდარული იოჰან კრუიფის ვაჟის, ხორდის გოლმა მათ იმედის მბჟუტავი ნაკვერჩხალიც ჩაუქრო. მართალია, მერე კევედოსა და სემბრანოსის მეცადინეობით 2:1 მოიგეს, მაგრამ ეს მხოლოდ გულის მოსაფხანი გამარჯვება იყო.

„უსაზღვროდ ბედნიერი გახლავართ. გუნდი, რომელიც პირველად თამაშობს ევროთასებზე, ნახევარფინალში გავიდა — ამბობს „ალავესის“ მწვრთნელი ხოსე მანუელ ესნალი — ვფიქრობ, ორი მატჩის ჯამში დამსახურებულად გაიმარჯვეთ და მომავალშიც ვეცდებით ქომაგები არ გავაწბილოთ. „რაიოს“ კი კარგ თამაშს მივულოცავ, მათ თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ რას იზამ, გამარჯვებული ერთი უნდა ყოფილიყო.“

„რაიოს“ თავკაცი ხუანდე რამოსი ვაჟკაცურად იდგა: „ჩემმა ბიჭებმა მოსაგებად ყველაფერი გაიღეს, მაგრამ მეტოქემ გვაჯობა. რა გაეწყობა, ვუსურვებთ მომავალშიც იღბლიანად ევლოთ.“

**ლივერპული 2:0 პორტუ (0:0)**
1:0 მერფი (33), 2:0 ოუენი (38)
**ლივერპული:** ვესტერფელდი, ენრისი, ბაბელი, ჰიიპია, კარაგერი, შმიცერი (ლიტმანენი 74), მერფი (ციგე 89), ჰამანი, ჯერარდი, ოუენი, ფაულერი (ჰესკი 74)
**მწვრთნელი:** ჟერარ ულიე
**პორტუ:** ეშპინია, ალვეში, პარედესი, სეკრეტარიუ (დეკო სოუზა 46), ანდრადე, ალენიჩევი, პაულინიუ სანტუში (მარიჩი 80), კანდიდუ კოშტა (ნუნუ კაპუშუ 46), კლეიტონი, პენა, რიკარდუ სილვა
**მწვრთნელი:** ანტონიუ ოლივეირა
**გაფრთხილება:** რიკარდუ სილვა, სეკრეტარიუ ჯერარდი, კლეიტონი
**მსაჯი:** კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
40 502 მაყურებელი

**სხვა** ლივერპულელებზე რომ ალარაფერი ვთქვათ, მარტო მაიკლ ოუენს არაერთი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ გვარიანი უპირატესობის მიუხედავად, მასპინძლებს პირველ გოლამდე 33 წუთი მოუხდათ ლოდინი. სტივენ ჯერარდმა მარჯვენა ფლანგიდან დენი მერფის მისამართით ჩააწოდა და უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელმა ბურთის მისაღებად ხელის წაშველებაც არ ითაკილა და პორტუგალ მეკარე ეშპინიას შორეულ კუთხეში დაურტყა. გოლი ჩაითვალა — დანიელმა არბიტრმა კიმ მილტონ ნილსენმა ხელით თამაში ვერ შენიშნა.

შეუძლებელია, „ლივერპული“ — „რომას“ ენფილდური მერვედფინალი არ გაგვახსენდეს, რომელშიც „ლივერპული“ დამატებით დროს და ეგებ, მარცხსაც იმის წყალობით გადაურჩა, რომ ესპანელმა გარსია არანდამ საჯარიმოში მარკუს ბაბელის ხელით თამაშზე თვალის დახუჭვა ამჯობინა.

მერფის ხელს, ბაბელის ხელისგან განსხვავებით, ნაკლები ფასი აღმოაჩნდა — ინგლისელთათვის მაიკლ ოუენის გოლიც საკმარისი იქნებოდა. პირველი გოლიდან ხუთ წუთში ჯერარდმა საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც ყველას ოუენმა დაასწრო და თავით მეორედ შეარხია პორტუგალთა კარის ბადე.

ეს გოლი სხვა თვალსაზრისითაც საყურადღებოა — მაიკლ ოუენს ევროტურნირებზე შინ აქამდე არასდროს გაეტანა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა მნიშვნელოვნად დააგდეს თამაშის ტემპი, თუმცა ბურთი მეტოქისთვის არ გადაუბარებიათ. ოუენმა კიდევ რამდენიმე შანსი ვერ გამოიყენა.



რივალდოს ორმა გოლმა „ბარსელონა“ ნახევარფინალში გაიყვანა

პორტუგალიელებმა სანდერ ვესტერფელდი ერთი-ორჯერ თუ შეაწუხეს, მაგრამ ამას შეწუხებაც არ ეთქმის და „ლივერპული“ ნახევარფინალში უპრობლემოდ გავიდა.

**სელტა 3:2 ბარსელონა (1:2)**
0:1 რივალდო (29), 1:1 კატანია (34), 1:2 რივალდო (44), 2:2 გუსტავო ლოპესი (64პ), 3:2 მოსტოვოი (90)
**სელტა:** პინტო,ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი (ედუ 46), ჯოვანელა, ხაიო, კარპინი, მოსტოვოი, გუსტავო ლოპესი (ხესული 73), კატანია
**მწვრთნელი:** ვიქტორ ფერნანდესი
**ბარსელონა:** რეინა, რაიციგერი, ფ. დე ბური, კოკუ, სერხი, გვარდიოლა, პეტი, ლუის ენრიკე, ოვერმარსი (ზენდენი 66), რივალდო (ხავი 79), კლუივერტი (ხერარდი 89)
**მწვრთნელი:** ლორენს სერა ფერერი
**გაფრთხილება:** კატანია, გუსტავო ლოპესი, ლუის ენრიკე, ჯოვანელა
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)
29 000 მაყურებელი

**პირველი** მატჩისგან განსხვავებით, „ბარსელონას“ ჰყავდა რივალდო და ლუის ენრიკე და სწორედ მათ გადაწყვიტეს მატჩის ბედი.

მასპინძლებს მცდელობა არ დაუკლიათ, მაგრამ პირველი ხეირიანი მომენტი ტაიმის შუაში შეიქმნა. მოსტოვოიმ კარგ პოზიციაზე გაიყვანა კატანია და ფილიპ კოკუს თავდადება რომ არა, ბრაზილიელი ალბათ გაიტანდა.

რამდენიმე წუთიც და მასპინძლებმა გოლი საკუთარ კარში გაუშვეს. ლუის ენრიკემ ბურთით ლამის მთელი მოედანი გადაჭრა და რივალდოს ჩააწოდა. მანაც უძლიერესი და, რაც მთავარია, უზუსტესი დარტყმით ბურთი მარცხენა ცხრიანში ჩაჭედა.

ხუთ წუთში მოსტოვოი — კატანიას დუეტმა მეორე ცდაზე იხეირა. რუსისგან ქუსლით მიღებული ბურთი კატანიამ რივალდოზე ნაკლებ ეფექტურად როდი გაიტანა.

ამის მერე ვიგოელებმა სტუმრები საჯარიმოს მიაჯაჭვეს და კატანიამ კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი გააცუდა — ამჯერად ვალერი კარპინის ასისტენტობით. მაგრამ ხშირად ხდება და ახლაც ასე იყო, „ბარსელონამ“ მასპინძელთა იერიშებს გაუძლო და თავად გაიტანა. ისევ რივალდომ იყოჩაღა, საჯარიმო ჯადოქრულად შეასრულა. ისე, რივალდოს კარპინიც წაეხმარა — ცოცხალი კედელი ნაადრევად დაშალა. ბურთიც იქ გაძვრა, სადაც წესით კარპინის თავი უნდა ყოფილიყო და ხარიხას მოხვედრილი კარის ხაზს მიღმა დაეშვა.

„სელტას“ ფრიად გაურთულდა საქმე, ნახევარფინალში გასაღწევად მას კიდევ სამი გოლი სჭირდებოდა, ისიც იმ პირობით, თუ „ბარსა“ ვეღარ გაიტანდა.

მეორე ტაიმი მთლიანად გალისიელებისა იყო. ალბათ, სტუმრებმა თავი ნახევარფინალში დაიგულეს და იმიტომ.

63-ე წუთზე პატრიკ კლუივერტმა საკუთარ საჯარიმოში მოსტოვოი წააქცია და გუსტავო ლოპესმა პენალტი გაიტანა. მერე თავად მოსტოვოიმაც იხეირა და ედუს პასით მესამე შეაგდო. აბა, ვინ იტყვის, „სელტას“ დრო რომ ჰქონოდა. ეგებ ნანატრი მეოთხეც გაეტანაო, მაგრამ მოსტოვოის გოლმა მსაჯის საფინალო სასტვენს სულ რამდენიმე წამით დაასწრო — მესამე წამატებული წუთი იწურებოდა.

„ბარსელონას“ რივალდო რომ არ ჰყოლოდა, ნახევარფინალში ჩვენ ვიქნებოდით — თქვა მატჩის შემდეგ ვიგოელთა მწვრთნელმა ვიქტორ ფერნანდესმა — მასავით არავის შეუძლია გოლების გატანა. რივალდომ ერთხელაც დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელია“.

ბოლოს აღვნიშნოთ, რომ „სელტას“ 85-ე წუთზე გოლი არ ჩაუთვალეს — სანამ დაარტყამდა, კატანიას წესი დაურღვევია.

**პსვ 0:1 კაიზერსლაუტერნი (0:1)**
0:1 ბასლერი (71პ)
ბრუგინკმა ვერ გაიტანა პენალტი (51, მეკარე)
**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ფაბერი, ნიკოფოროვი, ჰოფლანდი (ვან დერ ვეერდენი 46), ბუმა, რომედალი (მახოაძე 74), ვან ბომელი, ფოგელი, კოლკა (ა. რამზი 65), დე იონგი, ბრუგინკი
**მწვრთნელი:** ერიკ გერეტსი
**კაიზერსლაუტერნი:** გ. კოხი, ჰ. რამზი, ჰ. კოხი (გრამოცისი 46), ბასლერი, შტრასერი, ბუკი, რატინიო (კომლიენოვიჩი 90), ხრისტოვი, კლოსე (რაიხი 54), პეტერსონი, ლოკვენცი
**მწვრთნელი:** ანდრეას ბრემე
**გაფრთხილება:** პეტერსონი, ფოგელი, ვან ბომელი, ვატერეუსი, რაიხი
**გაძევება:** ვან ბომელი (73)
**მსაჯი:** ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
31 500 მაყურებელი

**დამთავრებას** 16 წუთი უკლდა, როცა ესპანელმა მსაჯმა ანტონიო ლოპეს ნიეტომ თამაში შეწყვიტა. „ეინდჰოვენის“ მწვრთნელი ერიკ გერეტსი და ფეხბურთელები მინდორზე შევარდნილი გაავებული გულშემატკივრების დაწყნარებას ცდილობდნენ...

მიზეზი? აურზაურამდე წუთით ადრე მსაჯმა მასპინძელთა კარში პენალტი დანიშნა და კაპიტანი მარკ ვან ბომელიც გააძევა. თერთმეტმეტრიანი „ლაუტერნის“ ახალგამომცხვარმა ლიბერომ, მარიო ბასლერმა გაიტანა, მერე ტრიბუნების ბოროტი ღმუილი არაფრად ჩააგდო და ყურზე ხელი მიიდო — აქაოდა, აბა, ერთი მომასმენინეთ, როგორ ყივიხართო. მერე, როცა ამ ონავრობას ერთი ამბავი მოჰყვა, თავი იმართლა: „ცუდი არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, ვაგრძნობინე, თქვენი ხმაური ჩემთვის არაფერს ნიშნავს-მეთქი.“ არადა, როცა ბასლერი ოინბაზობდა, ტრიბუნებიდან გავარვარებული მაშხალებიც კი ცვიოდა...

თამაში 16 წუთით შეჩერდა. მერე არეულობები ქუჩაში გაგრძელდა. სტადიონის სიახლოვეს გამოპრუჟული ფანები პოლიციას შეებნენ, სამი სამართალდამცავი დაშავებულა, მათ შორის ერთი ქალი გახლდათ. კარგი დღე არ დადგომია სტადიონის მომსახურე პერსონალსაც, ამბობენ, 15 გვარიანად გაილახაო.

პოლიციამ 10 ვაიგულშემატკივარი დააკავა. მათგან ცხრა ღამევე გაათავისუფლეს, ერთი კი ახლაც განყოფილებაში უზით — ქვებს ისროდაო, ადანაშაულებენ.

თვითონ მატჩი კი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. 51-ე წუთზე გატანაც შეეძლოთ — ლაუტერნელმა ახმახმა ჩეხმა, ვრატისლავ ლოკვენცმა თავის საჯარიმოში ვან ბომელი წააქცია. ლოპეს ნიეტომ მაშინვე პენალტის ნიშნულისკენ მიუთითა, მაგრამ ბრუგინკის დარტყმა მეკარე გეორგ კოხმა მოიგერია, რომელიც, სხვათა შორის, შემადგენლობაში ბოლოსლა მოხვდა. კოხი „კაიზერსლაუტერნის“ მთავარი მეკარეა, მაგრამ დაშავებული გახლდათ და კარში ამჯერადაც პირველი მატჩის გმირი, ყრმა ვაიდენფელერი უნდა ჩამდგარიყო. კოხი კი დადგა და თავისიანების ნახევარფინალში გასვლაშიც დიდი წვლილი დაიდო.

**გიორგი დარჯანია**
**სოლომონ გულისაშვილი**



REUTERS ფოტოქრონიკა



მარიო ბასლერის გოლით და საქციელით გაცოფებულ ჰოლანდიელ ქომაგებს „ეინდჰოვენის“ ფეხბურთელები და მათი მწვრთნელი ერიკ გერეტსი გადაელობნენ

გიო ახვლედიანის



სვეტი

# ესეც, წილისყრა

აჰა, შედგა ჩემპიონთა ლიგის წილისყრა.

ათ წუთში მოთავდა ყველაფერი და მეოთხედფინალის წყვილებიც გაირკვა. დიდებული წყვილებია და თამაშიც დიდებული გაზურდება.

ეს კი არის, რომ საკლუბო ფეხბურთის მოყვარულ კაცს, წილისყრის წინ ათასი აზრი უტრიალებს ხოლმე თავში, თავისი საყვარელი გუნდის გზას სახავს და მეოთხედფინალის წილისყრის წინაც სათავისო ფინალს ხედავს, ეს პატარა, უწყინარი პროგნოზია ხოლმე და კაცის ფეხბურთისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს ისევე როგორც პროგნოზების უსაფუძვლობას.

ცოდვა გამხელილი სჯობს და ბოლო თვის განმავლობაში სასურველი ფინალი ჩემს ფიქრშიაც დაიბადა. დიახაც გამეხარდებოდა, რომ მაისის ბოლოს „სან სიროზე“ ერთმანეთს „ლიდს იუნაიტედი“ და „დეპორტივო“ შეხვედროდნენ. ამგვარი ფიქრი ეგებ სასაცილოც იყოს, ვინაიდან ფეხბურთის ფიქრიანად მაცქერალი კაცი ამ გუნდებს ათას ხინჯს უპოვნის და მათ ნაკლზეც იმდენს ილაპარაკებს, რამდენსაც ღირსებაზე, მაგრამ, ჩემი აზრით, ამგვარი ფინალი დიდი დაფასება იქნებოდა ორი მებრძოლი, მოხდენილი, სრულიად განსხვავებული გუნდისთვის, რომელთაც წლევანდელ ლიგაში დათესეს მივიწყებული, ალალი, სახალხო (თუ ხალხური) ფეხბურთის მარცვლები.

ახლა ეს გუნდები მეოთხედფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. ფინალი მხოლოდ მათი მებრძოლი სულისა და ნაღდი ფეხბურთის დაფასება იქნებოდა, თორემ ახლა ერთი მატჩის ნაცვლად ორს ვნახავთ და ესეც დიდებული იქნება.

მე თუ მკითხავთ, ეს ყველაზე რომანტიკული წყვილია. ყველაზე ხმაურიანი წყვილი კი, რა თქმა უნდა, „მანჩესტერი“ — „ბაიერნია“. აბა, მოვდგეთ და ვილაპარაკოთ, რატომ? ამ ჩემპიონთა ლიგამ ერთი თავისებური, საჭირო ტრადიცია კი დაამკვიდრა: დიდი გუნდები ძალიან ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, ეს ამერიკულ-კანადური სათამაშო ლიგების მსგავსი რამ არის. ვთქვათ, ენბიეის და ენეიჩელის კონფერენციათა ფინალებისა, სანახაობრივადაც მშვენიერია და ე. წ. ბექგრაუნდიც, ანუ ამგვარ წყვილების უკან არსებული ისტორიაც საინტერესო და დიდია. „მანჩესტერ“ — „ბაიერნიც“ ასეთ წყვილად ყალიბდება. სწორედ ამგვარი წყვილები ქმნიან საფეხბურთო მითოლოგიას. დღეს კი, ხეირიანად ველარ გაიგებ ფეხბურთი მართლა ფეხბურთია თუ მითოლოგია.

„ლიდსი“ — „დეპორტივოც“ ამიტომ მინდოდა.

კოხტა იქნებოდა და შეგვახსენებდა, რომ დიადთა უკან, ვინმეები დგანან. შარშან მხოლოდ „ვალენსია“ იყო, წლეულს ორი იქნებოდა.

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ჩემპიონთა ლიგა

## მეოთხედფინალის წილისყრა

პირველი მატჩები — 3-4 აპრილს, საპასუხოები — 17-18 აპრილს

# წილისყრა იყო, გულყრა იქნება

### მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) I ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია)



ბატალური სცენა 1999 წლის ისტორიული მატჩიდან: მიუნხენელები მიხაელ ტარნატი (მარცხნივ), შტეფან ეფენბერგი და მანჩესტერელი რაიან გიგზი

**რა გაგახსენდათ,** როცა შეიტყვეთ, რომ ერთ-ერთ მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი“ მიუნხენის „ბაიერნს“ ხვდება? ცხადია, 1999 წლის ფინალი „კამპ ნოუზე“, ჩემპიონთა თასის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მატჩი. ასეთივე რეაქცია ჰქონდათ ამ გუნდების წარმომადგენლებს, კენჭისყრას რომ ესწრებოდნენ.

„ვიცით, რომ „ბაიერნი“ რევანშის აღებას შეეცდება, თუმცა მასთან შეხვედრა მაინც სასიამოვნოა. იმ დრამატული ფინალის მიუხედავად, ჩვენ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს. „ბაიერნი“ დიდი ტრადიციების მქონე დიდი კლუბია, ისევე როგორც „მანჩესტერ იუნაიტედი“ — თქვა ინგლისელთა გენერალურმა მდივანმა კენ მერეტმა.

„გადასარევია. ასეთი მეტოქე საქმის უკეთ კეთებისკენ გვიბიძგებს. ვფიქრობ, ჩვენი შეხვედრა ხალხისთვის ფეხბურთის ფესტივალი იქნება“ — კმაყოფილია გერმანელთა მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი, მისი ერთ-ერთი შეგირდი, ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი კი ამბობს: „იმ ავადსახსენებელ ფინალზე ფიქრს თავი უნდა ვანებოთ. ისე, მე თუ მკითხავთ, „იუნაიტედთან“ შერკინება სწორედ ახლა ჯობდა და არა ფინალში“.

„ევროპული ფეხბურთის დღესასწაულს“ ჰპირდება გულშემატკივრებს მიუნხენელთა თავმჯდომარე ფრანც ბეკენბაუერი, რომელმაც თავის დროზე, 1974-76 წლებში, ამ გუნდთან ერთად სამჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, თუმც ბავარიელთა ბოლო წარმატების მერე აგერ უკვე 25 წელი ისე გადის, ევროპის უმთავრეს ჯილდოს მიუნხენისკენ აღარ გაუხედავს. არადა, „ბაიერნი“ სამჯერ იყო მიზანთან ახლოს: 1982 წელს ფინალი „ასტონ ვილასთან“ წააგო, 1987 წლისა — პორტუგალიურ „პორტუსთან“, შარშანწინ კი...

ბარსელონური ფინალი ამ გუნდების ურთიერთშეხვედრათა მწირ ისტორიაში ოდენ მესამე იყო: წინა ორი, იმავ გათამაშების ჯგუფური ეტაპისა, ფრედ — 2:2 და 1:1 დამთავრდა.

### გალათასარაი (სტამბოლი, თურქეთი) II რეალი (მადრიდი, ესპანეთი)



წილით შეყრილნი: „გალათასარაის“ სპორტული დირექტორი მეთე რაზლიქლი და „რეალის“ მენეჯერი ლოპეს სერანო

**„კმაყოფილი** ვარ თუ არა წილისწრით? ამას მეოთხედფინალის მერე გეტყვით“ — უთხრა ჟურნალისტებს „გალათასარაის“ სპორტულმა დირექტორმა მეთე რაზლიქლიმ.

მართალია ეს კაცი. აბა, ვინ იცის, თანამედროვე ფეხბურთში როდის რა მოხდება და სად. რაზლიქლი ამბობს: „ამ ეტაპზე რომ ყველა გუნდი ძლიერია, თქვენც კარგად იცით. ჩვენი ძლიერი მხარე ბოლო ექვს წელიწადში მიღებული დიდი გამოცდილებაა და ამის იმედად ვართ. თორემ, ის რომ უეფას თასს ვფლობთ და „რეალი“ ერთხელ უკვე დავამარცხეთ, ასეთ შეხვედრებში არაფერს ნიშნავს. არც საპასუხო მატჩის მადრიდში გამართვაა პრობლემა. რაც შეეხება გეორგე ჰაჯის, არა მგონია, ჩვენს ჩემპიონატში მისი ექვსი თამაშით დისკვალიფიკაციამ რუმინელს დაღი დაასვას, ხოლო ძველ კლუბთან ჯახი მისთვის დამატებითი სტიმული გახდება. ისე, იმასაც გეტყვით, რომ „რეალის“ ნაცვლად „ვალენსიას“ რომ შევხვედროდით, მერჩივნა, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ჩვენი ყოფილი ფორვარდი ადრიან ილიე თამაშობს“.

შარშან აგვისტოში, სუპერთასზე თურქებთან 1:2 დამარცხება, ცხადია, მადრიდშიც ახსოვთ, მაგრამ ამ ფაქტის მნიშვნელობის გაზვიადებას არც იქ აპირებენ. „ძნელი მატჩები გველის, თუმცა „რეალი“ ახლა უფრო კარგ ფორმაშია, ვიდრე მაშინ და ამიტომ, იმედიანადად ვარ განწყობილი“ — თქვა ესპანელთა ყოფილმა ვარსკვლავმა ემილიო ბუტრაგენიომ და დასძინა, რომ საპასუხო მატჩის შინ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართვაც უპირატესობას მის გუნდს ანიჭებს. „ნახევარფინალში ვინ გვირჩევნია? ჩვენ ჯერ ამ ეტაპზე ვფიქრობთ, ისე, ზოგიერთი უკვე „რეალი“ — „ვალენსიას“ შარშანდელი ფინალის გამეორებაზეც ალაპარაკდა“ — ამბობს ბუტრაგენიო.

### ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) III დეპორტივო (ლა კორუნია, ესპანეთი)



ლი ბოიერი: საშიში „ლიდსის“ გოლის გამტანი ნახევარმცველი

**ეს გუნდები** ერთმანეთს არასდროს შეხვედრიან, თუმცა ლიდსელთა პრეზიდენტმა პიტერ რიდსდეილმა იცის, რომ „დეპორტივო“, სხვა ესპანური გუნდების დარად, ტექნიკურად მეტად ძლიერია და მთავარი ყურადღებაც სწორედ ამაზე უნდა გამახვილდეს. „სხვა რა გითხრათ — ჩვენ ისედაც ბედნიერები ვართ, რომ აქამდე მოვედით. შესაბამისად, წილისყრის არცერთ სხვა ვარიანტზეც წუწუნს არ დავიწყებდით. ამის მიუხედავად, განწყობა გუნდში ოპტიმისტურია და ვთვლით, რომ ნახევარფინალში გასვლის შანსი გვაქვს“ — უთხრა ჟურნალისტებს ნიონში მყოფმა რიდსდეილმა.

უდავო ფავორიტად თავს არც „დეპორტივო“, კერძოდ კი მისი დირექტორი ლუის სანჩეს დეპორტო მიიჩნევს: „არის აზრი, თითქოს ჩვენს გუნდს გაუმართლა, მაგრამ ეს ასე არ არის. „ლიდსი“ საშიში გუნდია, თან მასთან არასდროს გვითამაშია. ისევ „არსენალი“ გვერჩივნა, რადგან ლონდონელებს უეფას თასის შარშანდელი გათამაშების მეოთხედფინალში შევხვდით და კარგად ვიცნობთ“ — განაცხადა „დეპორტივოს“ დეპორტომ და წარმატება სხვა ესპანურ კლუბებსაც უწინასწარმეტყველა — სამივეს შეუძლია ნახევარფინალში გასვლა და არც ესპანური ფინალია გამორიცხულიო.

### არსენალი (ლონდონი, ინგლისი) IV ვალენსია (ესპანეთი)

**მანჩესტერულ-მიუნხენური** დაპირისპირებისა არ იყოს, „არსენალისა“ და „ვალენსიას“ ბოლო შეხვედრაც ფინალში შედგა, ოღონდ, 21 წლის წინათ და აწ უკვე არარსებულ, თასების თასის გათამაშებაში. მაშინ, 1980 წელს, მარიო კემპესისა და რაინერ ბონჰოფის „ვალენსიამ“ პენალტების სერიაში სძლია ლონდონელებს. მას მერე, ამ გუნდს ევროთასით გამოწვეული სიხარული აღარ განუცდია, თუმცა შარშან მიზანთან ნამეტანი ახლოს იყო.

სწორედ „რეალთან“ პარიზში დამარცხება გაიხსენა „ვალენსიას“ საერთაშორისო ურთიერთობათა დირექტორმა პაკო ალაკრეუმ გუშინ, ნიონის წილისყრის შემდეგ: „არსენალი“ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გამორჩეული გუნდი გახლდათ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. ვფიქრობ, მეოთხედფინალში ჩვენ გავიმარჯვებთ და თუ გნებავთ, მეტსაც გეტყვით — შესაძლოა, ფინალშიც გავაღწიოთ, იქ ისევ „რეალს“ გადავეყაროთ და... მითუმეტეს, რომ „რეალი“ შარშან უფრო ძლიერად თამაშობდა, ჩვენ კი წლეულს მის დასამარცხებლად დამატებითი მოტივაცია გვექნება“ — წაიოცნება დონ ალაკრეუმ.

ცხადია, ასეთი რამ სულაც არ ეპიტნავებათ „არსენალის“ ბანაკში. ამ გუნდის ვიცე-პრეზიდენტი დევიდ დინი ამბობს: „მშვენიერი შანსი მოგვეცა, რათა თუმც მოგვიანებით, მაგრამ მაინც რევანში ავიღოთ. ვფიქრობ, მაყურებელი ორ ლამაზ მატჩს იხილავს. მთავარია, „ვალენსიასთან“ პირველ შეხვედრამდე დარჩენილ ორ კვირაში, საშინაო ფრონტი უდანაკარგოდ გადავლახოთ და ლიგის მეოთხედფინალს ტრავმირებულთა გარეშე შევხვდეთ“.



ვინ აღმართავს ორ თითს: „არსენალის“ არსენ ვენგერი თუ მისი მეტოქე ჰექტორ კუპერი?

II წყვილის გამარჯვებული — I წყვილის გამარჯვებული

ნახევარფინალის წილისყრა

III წყვილის გამარჯვებული — IV წყვილის გამარჯვებული

*პირველი მატჩები — 1-2 მაისს, საპასუხოები — 8-9 მაისს. ფინალი გაიმართება 23 მაისს მილანში, „სან სიროზე“*

# უეფას თასი

## ნახევარფინალის წილისყრა

*პირველი მატჩები — 5 აპრილს*
*საპასუხოები — 19 აპრილს*

| | |
|---|---|
| **ბარსელონა** (ესპანეთი) | **ლივერპული** (ინგლისი) |
| **ალავესი** (ვიტორია, ესპანეთი) | **კაიზერსლაუტერნი** (გერმანია) |

**ფინალი გაიმართება 16 მაისს დორტმუნდში, „ვესტფალენშტადიონზე“**

**ალბათ,** ყველა „ბარსელონა“ — „ლივერპულის“ ფინალს ელოდა, მაგრამ უეფას ჩინოვნიკის ხელმა კალათიდან ბურთულები იმგვარად ამოიღო, რომ ეგრეთ წოდებული „ფინალი ფინალამდე“ გათამაშდება.

„ბარსელონას“ და „ლივერპულს“ ერთად 14 ევროთასი აქვთ მოგებული, მაგრამ კონტინენტზე გაუთავებელი მოგზაურობების დროს ისინი მხოლოდ ერთხელ გადაეყარნენ ერთმანეთს. ეს შორეულ 1976 წელს მოხდა, როცა ინგლისელებმა უეფას თასის ნახევარფინალში ესპანელთა ძლევის შემდეგ თასიც დაისაკუთრეს. სხვათა შორის, ამ ტურნირზე ეს „ლივერპულის“ პირველი გამარჯვება იყო.

მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა და უკვე თექვსმეტი წელია, „ლივერპულს“ ევროთასების ფინალშიც არ გაუღწევია — ბოლო „ეიზელზე“ სისხლიანი ფინალი იყო. სამაგიეროდ, „ბარსელონამ“ ბოლოს ოთხი წლის წინ აღმართა თასი, რომელიც უკვე ისტორიას ჩაბარდა და ერთხელ ჩვენს „დინამოსაც“ მოუგია. აი, უეფას თასი კი კატალონიელთა კოლექციას არ ამშვენებს.

წილისყრის შემდეგ ლივერპულელთა აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ პარიმ თქვა, ფინალში ხომ მაინც უნდა შევხვედროდით „ბარსელონას“ და ეგებ უკეთესიცაა ახლა რომ ვხდებით — ორმატჩიან ბრძოლაში მოულოდნელობების ალბათობა უფრო ნაკლებიაო. ჩეხმა ნახევარმცველმა ვლადიმირ შმიცერმა კი აღნიშნა, „კამპ ნოუზე“ თამაში ჩემი დიდი ხნის ოცნება იყოო.

# გრემმა ომერტა დაივიწყა

**გუშინ** „ტოტენჰემ ჰოტსპურმა“ მწვრთნელი ჯორჯ გრემი დაითხოვა. ლონდონური კლუბი პრემიერლიგაში მეცამეტე ადგილზეა, მაგრამ ასოციაციის თასის ნახევარფინალში გავიდა. აქედან გამომდინარე, კლუბის მესვეურებს მწვრთნელისადმი უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. გაშვების მიზეზი კი გრემის მიერ ეთიკის ნორმების დარღვევა გახდა — ასე ამბობენ კლუბში.

თუმცა სანამ მთავარ სათქმელს მივადგებით, გავიხსენოთ, რომ „ტოტენჰემის“ ყოფილმა თავმჯდომარემ, ალან შუგარმა დეკემბერში კლუბის აქციების სოლიდური ნაწილი ფინანსურ ჯგუფ ენიკ-ს მიჰყიდა, ხოლო თებერვალში პოსტიდანაც გადადგა.

კლუბის ახალმა მეპატრონემ, რომლის საკუთრებაშიც რამდენიმე სხვა სპორტული და მედია კომპანია შედის, ჯორჯ გრემთან სასაუბროდ მხოლოდ გუშინწინ მოიცალა. შეხვედრას გრემის გარდა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი დევიდ ბუჩლერი და დირექტორი დევიდ პლიტი ესწრებოდნენ. ძირითადად ფინანსურ საკითხებზე ილაპარაკეს. მწვრთნელმა ახალი ფეხბურთელების შესაძენად ფული მოითხოვა და ისიც აღნიშნა, დაფინანსებას თუ არ გაზრდით, სოლ კემპბელიც გაგვექცევაო. ვიცე-პრეზიდენტს თავისი ანგარიში ჰქონდა და გრემს ბიუჯეტის გაზრდაზე უარი უთხრა.

გუშინ ეს ყველაფერი ინგლისურ გაზეთებში დაიბეჭდა, ხოლო ჟურნალისტებს გრემმა უამბო, რაც მისი გათავისუფლების მიზეზი გახდა.

გუშინ საღამოს დევიდ ბუჩლერმა გადაწყვეტილებას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ჩვენ მწვრთნელისგან ეთიკის ნორმების დაცვას მოვითხოვდით. მას სრული უფლება ჰქონდა, კონკრეტული თამაშის თუ ფეხბურთელის თაობაზე აზრი გამოეთქვა. მაგრამ ფულზე საჯაროდ ლაპარაკი დაუშვებელია. მით უმეტეს, გრემს თავიდანვე ვთხოვე, შეხვედრის დეტალები არ გაეხმაურებინა. ამას უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით. დარწმუნებული ვარ, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ“.




THE SUN



# დუაიტი?

**ტრინიდადელი** ფორვარდის დუაიტ იორკის ქალს (იმათებურად გელფრენდს), ბუნების დარად, ყველაფერი მშვენიერი წყვილადა აქვს.

ყველაზე დიდმკერდა ინგლისელი მოდელი, 20 წლის ჯორდანი კარგა ხანია „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელს ჰყვარობს, მაგრამ დახეთ...

გუშინწინ ლონდონის პარკ ლეინზე (ქუჩაა დიდებული) გაუსეირნია, ერთ-ერთ იქაურ ავოიე სასტუმროში შეუხედავს, მერე ჭიქას ჭიქა მოჰყოლია, სადღეგრძელოს — სადღეგრძელო და ეს ჩვენი ჯორდანი ისე გამოპრუტუნებულა, ვერც გაზეთ „სანის“ პაპარაცების ფოტო-ჩხაკუნს გამოუფხიზლებია. რომ გეკითხათ, ალბათ, თავისი ბოიფრენდის სახელსაც ვერ გეტყოდათ.

დარტყმა, ისევ დარტყმა... ახლა ჯორდანს დუაიტ იორკის შეტევების მოგერიება მოუხდება, ეს კი იოლი საქმე რომ არაა, ნებისმიერი მცველი დაგიდასტურებთ.

Copa Toyota Libertadores '2001

**ლიბერტადორესის თასი 2001**

I ჯგუფი. III ტური

**უნივერსიტარიო (პერუ) 1:2 ატლეტიკო ხუნიორი (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როსარიო სენტრალი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:3 | 6 |
| ველეს სარსფილდი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ატლეტიკო ხუნიორი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| უნივერსიტარიო | 3 | 0 | 0 | 3 | 1:10 | 0 |

VII ჯგუფი. IV ტური

**ოლმედო (ეკვადორი) 2:1 სან კაეტანო (ბრაზილია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზ ასული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ოლმედო | 4 | 2 | 0 | 2 | 10:9 | 6 |
| დეფენსორ სპორტინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| სან კაეტანო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |


# იყიდება



ორკარიანი ავტომანქანა
„მიცუბიში პაჯერო“ ბენზინზე
1986 წლის გამოშვება.
ფასი 3 500
ტელეფონი: 8 (99) 55 16 75


## შვეიცარია

**გადადებული მატჩი**
**სიონი 2:0 გრასჰოპერი**
1:0 პუესი (8), 2:0 მობელუ (44)

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

## ფრაგმენტები მსოფლიო ფეხბურთის მკვლევარ-ისტორიკოსის დისერტაციიდან

**ბურთი** კაცობრიობას განვითარების პირველი ნაბიჯებიდანვე მოსდევს. ეს პატარა, მრგვალი და მხტომი საგანი ცივილიზაციის თანამდევი რომ არის, უამრავი ისტორიული წყაროთი (ხელნაწერები, ნახატები...) დასტურდება. ათასწლეულების მანძილზე სხვადასხვა ქვეყნებმა და კულტურებმა უამრავი ბურთიანი თამაში შექმნეს. ხშირად, ეს თამაშები სახეს იცვლიდნენ, ერთმანეთს ერწყმოდნენ, მაგრამ მე-19 საუკუნემდე არც ერთ წყაროში არ მოიხსენიება ისეთი თამაში, როგორიცაა ფეხბურთი. ამრიგად, ჩვენ ვიცით, რომ არსებობდა ბურთი, მაგრამ არ იყო ფეხბურთი, ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ მე-19 საუკუნემდე არ არსებობდა ფეხი. რომ არსებულიყო, შეუძლებელია სხვადასხვა, ურთულესი თამაშების გამომგონებელ კაცობრიობას ვერ მოეგონებინა ისეთი მარტივი რამ, როგორიც ბურთისთვის ფეხის მირტყმაა.

ფეხბურთი პირველად ინგლისში გამოჩნდა, ესე იგი, პირველად ინგლისში გამოჩნდა ფეხიც, რომელმაც, თანდათან მთელ დედამიწაზე ჰპოვა ფართო გავრცელება. სავარაუდოდ, ფეხი სხვადასხვა ქვეყნებში ინგლისელმა მეზღვაურებმა შეიტანეს. საქართველოში ფეხების შემოსვლა პირდაპირაა დაკავშირებული ფოთში ნავსაყუდელის აშენებასთან, თუმცა ისიც ნათელია, რომ ადგილობრივი ადათ-წესებისა და კულტურის მქონე საზოგადოება ევროპულ სიახლეს ვერ ეგუებოდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული. სწორედ აქედან შემორჩა ქართულ ენას გამოთქმა „ფეხების მოჭმა“. როგორც ჩანს, მე-19 საუკუნის საქართველოში ზუსტად არ ჰქონდათ გაცნობიერებული სიახლის რაობა და მასთან კულინარიულ-გასტრონომიული მეთოდებით იბრძოდნენ. აქედანვე დამკვიდრდა ქართული ადათი — ყოველგვარი უცხო და უსიამო სიახლისთვის ფეხების მოჭმა. ქართველებმა ფეხები მოჭამეს სოციალიზმს, დევალვაციას, დეგრადაციას და სხვა.

მთავარი საკითხიდან რომ არ გადავუხვიოთ, დავუბრუნდეთ ფეხებს, რომლითაც დავიწყეთ და, ეჭვი არაა, რომლითაც დავამთავრებთ. მაშ ასე, გამოჩნდა ფეხები (მასთან ერთად ფეხბურთი) ინგლისში და მოედო კიდეც მთელ დედამიწას. მოეწყო შეჯიბრებები: ცოლიანები უცოლოების წინააღმდეგ, სოფელი სოფლის წინააღმდეგ... გამოჩნდა სტუდენტური პირველობებიც დევიზით — „ლექციაზე შესვლა გვეზარება“ და „ნუ ჩაგვაბარებინებთ გამოცდებს“ და სხვა, თუმცა ამ ტიპის შეჯიბრებებს უფრო მოგვიანებით და ინგლისიდან კარგა მოშორებით ჩაეყარა საფუძველი.

ცოლიანებისა და უცოლოების მაგალითზე ჩატარდა ფულიანების და უფულოების ტურნირებიც, რაც მრავალგზისი ტრანსფორმაციის შემდეგ უეფას ჩემპიონთა ლიგად ჩამოყალიბდა.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სხვადასხვა ქვეყნებში იწყებენ ეროვნული პირველობების ჩატარებას. მათი არსი ასეთია: რამდენიმე ქალაქის გუნდი რამდენიმეჯერ ხვდება ერთმანეთს და მათ შორის გამარჯვებულს უხარია. ზუსტად არაა დადგენილი, რაა აქ გასახარებელი, მაგრამ დანამდვილებით გახლავთ ცნობილი, რომ გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელები ქუჩაში შემხვედრ მუშებს, მებაღეებს, ქალაქის წვრილმან ჩინოვნიკებს და მით უმეტეს მოსახლეობის სათვალეებიან ნაწილს, აგრეთვე ასპირანტებს, ქედმაღლურად, ზემოდან დასცქერიან. ამასთან, გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელები ზემოდან არ დასცქერიან პოლიციელებსა და ფიზიკურად ძლიერ წესრიგის დამრღვევებს.

ფეხბურთში ყველაზე დიდ სიხარულს ბურთის (ფეხით, ცხადია) ორ ბოძს შორის შეგდება იწვევს. ეს მოთამაშეებს იმთავითვე აძლევდა სხვადასხვა სცენების გათამაშების საბაბს. თავიდან თამაშდეობდა სცენა „გმადლობთ, ზეცაო, ჩემსკენ რომ ხარ და არა ამისკენ“. ამისთვის, ბურთის ბოძებს შორის შემგდებნი ორ ხელს მაღლა აღმართავდნენ. შემდეგ დაინერგა ახალი სიუჟეტი: „ხომ გეუბნებოდი, შენი დახმარების გარეშეც მოვიგებ-მეთქი“. ამის გამოსახატავად ფეხბურთელი, რომელმაც ორ ბოძს შორის ბურთი შეაგდო მაღლა, წარმოსახვითი კერპისკენ ხტებოდა და მუშტს უქნევდა. ბოლო დროს კი თემებმა იმრავლა: „მოშარდვა ძაღლურად“, „ცეკვა საჯდომის გაძლიერებული ქნევით“, „გამიწმინდეთ ფეხსაცმელი, მე ვარ, რაც ვარ“, „გავიხადე მაისურა“, „ჩავიხადე ნიფხავი“ და ასე შემდეგ...

დისერტაცია მთავრდება სიტყვებით: ...და ამიტომაც გირჩევთ, გადართეთ ტელევიზორები ნებისმიერ სხვა არხზე. ამით თქვენ საკუთარსა და შთამომავლობის ფსიქიკას დაიცავთ.

**ბაჩუნა ძიდია**

**ერთი, ორი, ...ცხრა, ათი, თერთმეტი. ყველა გარბის ჩემს მეტი**



ფეხებ-ბურთი

## იტალია

პაპუნა კადია

# ვებრძოლოთ ერთმანეთს და ვიფიქროთ რომაზე

| XXIII ტური | | |
|---|---|---|
| **ხვალ** | | |
| მილანი | — | ბარი |
| ფიორენტინა | — | ბოლონია |
| ლეჩე | — | ინტერი |
| ლაციო | — | იუვენტუსი |
| უდინეზე | — | პარმა |
| ნაპოლი | — | პერუჯა |
| რეჯინა | — | რომა |
| ვერონა | — | ვიჩენცა |
| **ზეგ** | | |
| ბრეშა | — | ატალანტა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 22 | 17 | 3 | 2 | 44:17 | 54 |
| იუვენტუსი | 22 | 14 | 6 | 2 | 39:15 | 48 |
| ლაციო | 22 | 13 | 4 | 5 | 40:25 | 43 |
| პარმა | 22 | 10 | 6 | 6 | 35:20 | 36 |
| ატალანტა | 22 | 8 | 9 | 5 | 25:19 | 33 |
| ინტერი | 22 | 8 | 7 | 7 | 27:25 | 31 |
| ბოლონია | 22 | 9 | 4 | 9 | 28:28 | 31 |
| მილანი | 22 | 7 | 9 | 6 | 33:35 | 30 |
| პერუჯა | 22 | 8 | 6 | 8 | 28:30 | 30 |
| ლეჩე | 22 | 7 | 8 | 7 | 28:33 | 29 |
| ფიორენტინა | 22 | 6 | 10 | 6 | 36:32 | 28 |
| უდინეზე | 22 | 9 | 1 | 12 | 35:37 | 28 |
| ვიჩენცა | 22 | 6 | 5 | 11 | 22:33 | 23 |
| ბრეშა | 22 | 4 | 9 | 9 | 25:32 | 21 |
| ნაპოლი | 22 | 5 | 6 | 11 | 23:35 | 21 |
| ვერონა | 22 | 5 | 6 | 11 | 27:41 | 21 |
| რეჯინა | 22 | 5 | 3 | 14 | 17:36 | 18 |
| ბარი | 22 | 4 | 4 | 14 | 18:37 | 16 |

კვირას „ლაციო" „იუვენტუსს" მასპინძლობს. წინა ტურში „ბოლონიასთან" მარცხმა „ლაციოს" სკუდეტოს შენარჩუნების შანსი ერთი ორად შეუმცირა. გულახდილად რომ ვთქვათ, არც მოგების შემთხვევაში იყო „ლაციო" ფავორიტი და ასე ხომ, მით უმეტეს — დინო ძოფის გუნდი „რომას" უკვე თერთმეტი ქულით ჩამორჩება.



ვიჩენცო მონტელა

გავიხსენოთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში „ლიდსთან" მატჩს წინ დინო ძოფის ფიქრები „იუვენტუსთან" მომავალ თამაშს დასტრიალებდა, რადგან ერთ დროს სახელოვან მეკარეს მტკიცედ ჩაბეჭდია გონებაში: მოვუგებთ „იუვენტუსს" — სკუდეტოსთვის ბრძოლას განვაგრძობთ, ვერ მოვუგებთ და სეზონი ჩვენთვის პრაქტიკულად დამთავრებულია. სხვათა შორის, ასეთივე განწყობა სუფევს ტურინელთა ბანაკშიც, „რომას" გადასწრების აუცილებელ პირობად ჯერ „ლაციოს" დამარცხებას თვლიან.

ცხადია, „იუვენტუსს" უკეთ აქვს საქმე, ვიდრე „ლაციოს", რადგან ლიდერთან მხოლოდ ექვს ქულას აგებს და ის ფაქტორიც მის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ 1995 წლის ოქტომბრის მერე „ლაციოს" „იუვენტუსი" არ დაუმარცხებია.

და ერთიც. ტურინელებსაც და რომაელებსაც არ დავიწყებიათ წინა სეზონის ბოლო ტურის დროს პერუჯაში მოსული წვიმა, რომელმაც „იუვენტუსის" მიერ დაბევებული ჩემპიონის ტიტული „ლაციოს" გადააბარა.

მოკლედ, კვირას „ლაციო" „იუვენტუსს" მასპინძლობს.

წინა ტურში „იუვენტუსმა" „რეჯინას" მოუგო, თუმც მეტად ულიმღამოდ ითამაშა. ზინედინ ზიდანმა თქვა, „რეჯინასთან" თამაში ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს, თორემ „ლაციოსთან" ვერაფერს გავხდებითო.

„ბებერი ქალბატონი" რეჯინულ გაკვეთილს ალბათ კარგად გამოიყენებს, მით უფრო, რომ კარლო ანჩელოტის ტრავმების მხრივ პრობლემები არ აქვს. სამაგიეროდ, ლაციოელი ფერნანდო კოუტუ და სინიშა მიხაილოვიჩი დისკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო ჯუზეპე ფავალი დაშავებულია. რომაელთა დაცვაში, სავარაუდოდ, ყოფილი ინტერელი ფრანჩესკო კოლონეზე ითამაშებს.

სერია B-დან ალზევებულები „ბრეშა" და „ატალანტა" რეჯანაში ითამაშებენ, რადგან ბრეშელ ქომაგთა უწესო საქციელმა მათი გუნდი უსტადიონოდ დატოვა. ეს, ცხადია, „ატალანტას" აძლევს ხელს, თუმც ბერგამოელებს დისკვალიფიცირებული გამთამაშებლის, კრისტიანო დონის გარეშე მოუწევთ თამაში.

„რომა" რეჯინაში სამი ქულის წამოსაღებად და იმ იმედით ჩადის, რომ „ლაციო" და „იუვენტუსი" ფრედ ითამაშებენ, ასე თქვა ფაბიო კაპელომ. რომაელებს კვლავაც არ ეყოლებათ გაბრიელ ბატისტუტა, თუმცა მასპინძელთათვის ეს შეღავათი სულაც არაა — ბატიგოლისგან მეტოქეთა კარის დალაშქვრის ფუნქცია ვიჩენცო მონტელამ გადაიბირა და ბოლო ორ მატჩში ოთხი გოლიც გაიტანა.

„მილანი" უსიამოვნო ანტირეკორდის დამხობას შეეცდება — წინა 18 შეხვედრიდან მხოლოდ ორი მოიგო. მთავარი კი ისაა, რომ ჩეზარე მალდინი და მაურო ტასოტი ახალი „მილანის" შექმნას ეცდებიან, რომლის საძირკველსაც სწორედ ახლა უნდა ჩაეყაროს საფუძველი. აღსანიშნავია, რომ კლუბმა ჯერაც ვერ დააღწია თავი მოძალებულ ტრავმებს, თუმცა ახალ მწვრთნელებს წარმატებული დებიუტის მშვენიერი შანსი აქვთ — პირველ მეტოქედ წყალწაღებული „ბარი" ერგოთ.

„ნაპოლის" პორტუგალიელი ნახევარმცველი ჟოზე ვიდიგალი შვეიცარიელ თანაგუნდელ დავიდ სოსას შეუამხანაგდა — დაიმტვრა და სეზონი დაასრულა. ეს ნეაპოლელთათვის ფრიად სამწუხარო ცნობაა, მაგრამ სტატისტიკა ძალიან საინტერესო ფაქტსაც გვამცნობს — თურმე „პერუჯას" ნეაპოლში ბოლო ოცი წლის მანძილზე ერთადერთხელ მოუგია.

„ლეჩე" „ინტერს" ოთხი საფეხურით ჩამორჩება, მაგრამ ცხრილის შუაგულში ისეთი სიმჭიდროვეა, გამარჯვების შემთხვევაში მილანელთა წინ აღმოჩნდება, რაც, სხვათა შორის, გასაკვირად არ უნდა მოგვეჩვენოს. „ინტერის" არასტაბილურობაზე ლაპარაკი, ვფიქრობთ, ზედმეტია, ხოლო „ლეჩეს" ბოლო ექვსი შეხვედრიდან ოთხი მოუგია.

ზემოთ ნეაპოლში პერუჯელთა უსუსურ თამაშზე ვთქვით და იგივე „ბოლონიაზე" უნდა გავიმეოროთ, რომელმაც ბოლო 25 სეზონში ფლორენციაში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. მასპინძელთა გუნდს ხვალ პორტუგალიელი თავდამსხმელი ნუნუ გომეში არ ეყოლება და რობერტო მანჩინი ენრიკო კიეზას ბრაზილიელ ლეანდროს შეუწყვილებს.

რაც „პარმაში" ახალი მწვრთნელი რენცო ულივიერი მივიდა, ეს კი ექვსი ტურის წინ მოხდა, პარმელებმა 13 ქულა მოიპოვეს. უდინელთა მწვრთნელ ლუიჯი დი კანიოს კი საქმე ცუდად აქვს. „უდინეზემ" ბოლო დროს სამი მარცხი იწვნია და კლუბში მის გაშვებაზე ალაპარაკდნენ.

## ინგლისი

გიგა [illegible]

ბიბლიოთეკა



პირველი წრის ლესტერი — მანჩესტერის მატჩში ტედი შერინგემმაც გაიტანა

# რად მინდა თასი, თუნდ იყოს სამი...

| XXIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბრედფორდი | — | სიტი |
| ჩარლტონი | — | ლიდსი |
| ჩელსი | — | სანდერლენდი |
| მანჩესტერ იუნ. | — | ლესტერი |
| ნიუკასლი | — | მიდლსბრო |
| საუთჰემპტონი | — | ევერტონი |
| ტოტენჰემი | — | ქოვენთრი |
| ვესტ ჰემი | — | იფსვიჩი |
| **ხვალ** | | |
| ლივერპული | — | დერბი ქაუნთი |
| ასტონ ვილა | — | არსენალი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 29 | 20 | 7 | 2 | 66:19 | 67 |
| არსენალი | 29 | 15 | 8 | 6 | 47:29 | 53 |
| იფსვიჩი | 29 | 14 | 4 | 11 | 43:36 | 46 |
| ლივერპული | 27 | 13 | 6 | 8 | 47:30 | 45 |
| სანდერლენდი | 29 | 12 | 9 | 8 | 33:28 | 45 |
| ლესტერი | 28 | 13 | 6 | 9 | 31:29 | 45 |
| ლიდსი | 29 | 12 | 8 | 9 | 42:37 | 44 |
| ჩელსი | 28 | 11 | 9 | 8 | 50:33 | 42 |
| ჩარლტონი | 29 | 11 | 9 | 9 | 38:40 | 42 |
| საუთჰემპტონი | 28 | 11 | 8 | 9 | 33:34 | 41 |
| ნიუკასლი | 28 | 11 | 5 | 12 | 33:39 | 38 |
| ასტონ ვილა | 28 | 9 | 10 | 9 | 31:30 | 37 |
| ტოტენჰემი | 29 | 9 | 9 | 11 | 33:38 | 36 |
| ვესტ ჰემი | 29 | 8 | 11 | 10 | 35:37 | 35 |
| დერბი ქაუნთი | 29 | 8 | 10 | 11 | 30:44 | 34 |
| ევერტონი | 29 | 8 | 8 | 13 | 31:43 | 32 |
| მიდლსბრო | 29 | 5 | 13 | 11 | 31:35 | 28 |
| სიტი | 29 | 6 | 8 | 15 | 31:47 | 26 |
| ქოვენთრი | 29 | 5 | 9 | 15 | 26:48 | 24 |
| ბრედფორდი | 28 | 3 | 7 | 18 | 18:53 | 16 |

**შარშან,** მიმდინარე ჩემპიონატის მეცხრე ტურში, „მანჩესტერ იუნაიტედი" ლესტერის „ფილბერტ სტრიტს" ესტუმრა. 14 ოქტომბერი იყო და „ლესტერ სიტი" პრემიერლიგას ლიდერობდა, სტუმრები კი მეორე ადგილზე იყვნენ. ის თამაში ალექს ფერგიუსონის გუნდმა 3:0 მოიგო, ცხრილის სათავეში მოექცა და მას მერე ძვრა ვერავინ უყო. ახლა, ჩემპიონატის დასრულებამდე ცხრა ტურით ადრე, აწ უკვე მეექვსეადგილოსანი „ლესტერი" „ოლდ ტრეფორდზე" ჩადის, სადაც ავსტრიული „შტურმის" განადგურებით შეგულიანებული მანჩესტერელები ზედიზედ მესამე ჩემპიონობასთან მიახლოებას შეეცდებიან.

„იუნაიტედს" დარჩენილ ცხრა მატჩში ოდენ 14 ქულის მოგროვება სჭირდება (ესეც იმ შემთხვევაში, თუ მდევარი „არსენალი" ყველაფერს მოიგებს), რათა ბოლო ცხრა სეზონში მეშვიდედ გაჩემპიონდეს. ალბათ ასეც მოხდება და „წითელი ეშმაკუნები" რეკორდს გაიმეორებენ: აქამდე მხოლოდ სამ გუნდს — „ჰადერსფილდს" (1924, 25 და 26 წლები), „არსენალს" (1933, 34, 35) და „ლივერპულს" (1982, 83, 84) — მოუხერხებია ინგლისის უმაღლესი ლიგის ზედიზედ სამჯერ მოგება. ცხადია, ასეთი რამ 1992 წელს შექმნილი პრემიერლიგისთვის პირველი იქნება.

თითქმის გარკვეულია მეორე ადგილის ბედიც — ბოლოდროინდელი ულიმღამო თამაშის მიუხედავად, მომავალი სეზონის ჩემპიონთა ლიგის მეორე საგზურს „არსენალს" ალბათ ველარავინ შეეცილება. აი, მესამე ადგილისთვის კი დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

„სამი თასის მფლობელებიც რომ გავხდეთ, თუ ჩემპიონთა ლიგაში ვერ გავედით, მაინც უკმაყოფილო დავრჩები" — განაცხადა გუშინ „ლივერპულის" ფრანგმა თავკაცმა ჟერარ ულიემ, რომლის გუნდიც ლიგის თასის მფლობელია, ასოციაციის და უეფას თასებზე კი ნახევარფინალში გავიდა. ევროსარბიელისა რა მოგახსენოთ, იქ მერსისაიდელებს ფინალის გზაზე „ბარსელონა" შეხვდათ და უმძიმესი ორი მატჩი ელით, აი, ქვეყნის თასზე კი გაუმართლათ — მეორედივიზიონელი „უიკომბის" დაძლევა და კარდიფის „მილენიუმზე" წლეულს მეორედ მოხვედრა ლივერპულელებს ნამდვილად ძალუძთ.

მანამდე კი... „ამ თვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა კვირას „დერბი ქაუნთისთან" გვექნება. ვიმეორებ, ჩვენი მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვებაა" — ამბობს ულიე და გაუთვალისწინებელი ქულების დაკარგვას არ აპირებს. თავის მხრივ, „ენფილდზე" მოპოვებული ქულაც კი დერბელებს თითქმის ყველა პრობლემას გადაუჭრის — გასავარდნ ზონასთან ცხრაქულიან უპირატესობას ქინქლაძის გუნდი ალბათ აღარ გაფანტავს.

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველის დაბრუნება სწორედ ხვალინდელ მატჩში იყო დაგეგმილი, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ გიოს მზადყოფნა შუა კვირაში „უიმბლდონის" სათადარიგოებთან შეხვედრაში უნდა წარმოჩენილიყო, ეს თამაში კი თავსხმა წვიმის გამო არ შედგა. ასე რომ, ითამაშებს თუ ქინქლაძე ერთ დროს მისი მოსურნე „ლივერპულის" წინააღმდეგ, მხოლოდ ხვალ დილით გაირკვევა. კიდევ ორი რამ ამ საკვირაო თამაშის ირგვლივ: პირველ წრეში „პრაიდ პარკზე" დერბიშირელები 0:4 დამარცხდნენ (სტუმარმა ემილ ჰესკიმ ჰეთ-თრიქი შეასრულა), თუმცა ამ ბოლო დროს წაგებებს გადაეჩვივნენ — მხოლოდ ერთი ბოლო ექვს ტურში.

დიდი ამბებია მოსალოდნელი ბრედფორდში, სადაც იქაური და ხავსჩაჭიდებული „სიტი" ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში მყოფ მანჩესტერელ სეხნიას ხვდება. მასპინძლებს ლიგაში დარჩენის თეორიული შანსი ჯერ კიდევ აქვთ, სტუმრებს კი უახლოეს „მიდლსბრომდე" ორი ქულა აშორებთ, თუმცა ბოლო 19 შეხვედრაში მხოლოდ ორჯერ მოიგეს და თუ ასე გააგრძელეს, ისევ პირველ დივიზიონში ჩაბრუნდებიან. „ბრედფორდმა" ამ დღეებში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე დინ ვინდასი „მიდლსბროს" მიჰყიდა ორნახევარ მილიონ გირვანქად. თუ საბუთების გაფორმება მოესწრო, ამის დებიუტი ახალ გუნდში დღეს „ნიუკასლის" წინააღმდეგ შედგება. ეს მატჩი იმითაა გამორჩეული, რომ ორივე გუნდს სათავეში ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უდგას — „მიდლსბროს" ტერი ვენეიბლზი, „ნიუკასლს" კი ბობი რობსონი, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ვენეიბლზმა ტინსაიდელებს თავისი ხელი ვერაფრით დაატყო: ბოლო რვა მატჩია, „მიდლსბროს" ვერ უმარჯვია.

ექვსი ტურია ვერ იგებს „სანდერლენდი". ამის გამო მეორედან მეხუთე ადგილზე ჩაინაცვლა და დღეს ბოლო ათ ტურში მხოლოდ ერთხელ დამარცხებულ „ჩელსის" „სტემფორდ ბრიჯზე" ესტუმრება. თუ კლაუდიო რანიერის გუნდმა ეს შეხვედრაც მოიგო, უეფას თასისა კი არა, ლამის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი გაუჩნდება.

# ავა ზამერი ხვალ?



მათიას ზამერი მასწავლებლის დამარცხებას შეეცდება

## გერმანია

სოლომონ გულისაშვილი

| XXVI ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| მიუნხენ 1860 | ბაიერნი |
| დორტმუნდი | ლევერკუზენი |
| შალკე | ფრაიბურგი |
| ჰანზა | ბოხუმი |
| კოტბუსი | ჰერტა |
| აინტრახტი | ჰამბურგი |
| **ხვალ** | |
| უნტერჰახინგი | შტუტგარტი |
| ვერდერი | ლაუტერნი |
| **გუშინ** | |
| კიოლნი | ვოლფსბურგი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 25 | 14 | 4 | 7 | 49:28 | 46 |
| დორტმუნდი | 25 | 13 | 6 | 6 | 43:31 | 45 |
| ლევერკუზენი | 25 | 13 | 4 | 8 | 43:29 | 43 |
| ჰერტა | 25 | 14 | 1 | 10 | 47:41 | 43 |
| ლაუტერნი | 25 | 13 | 4 | 8 | 37:32 | 43 |
| შალკე | 25 | 12 | 6 | 7 | 43:26 | 42 |
| ვერდერი | 25 | 10 | 7 | 8 | 35:36 | 37 |
| კიოლნი | 25 | 10 | 6 | 9 | 44:39 | 36 |
| ვოლფსბურგი | 25 | 9 | 8 | 8 | 49:34 | 35 |
| ფრაიბურგი | 25 | 9 | 8 | 8 | 33:29 | 35 |
| მიუნხენი | 25 | 9 | 7 | 9 | 33:40 | 34 |
| ჰამბურგი | 25 | 9 | 4 | 12 | 48:47 | 31 |
| ჰანზა | 25 | 9 | 4 | 12 | 25:37 | 31 |
| აინტრახტი | 25 | 8 | 4 | 13 | 30:46 | 28 |
| უნტერჰახინგი | 25 | 7 | 6 | 12 | 25:44 | 27 |
| შტუტგარტი | 25 | 6 | 8 | 11 | 35:40 | 26 |
| კოტბუსი | 25 | 8 | 2 | 15 | 29:43 | 26 |
| ბოხუმი | 25 | 5 | 5 | 15 | 22:48 | 20 |

**ბუნდესლიგის** 26-ე ტური წუხელ დაიწყო, დღეს გაგრძელდება და ხვალ დამთავრდება. დღევანდელი მატჩებიდან ჩვენს ყურადღებას სამი იპყრობს, აქედან ერთი ლიდერთა ჯახია, მეორე მიუნხენური დერბი, მესამე ჩვენებურების „ფრაიბურგი“ შემოდგომის ჩემპიონის „შალკეს“ წინააღმდეგ.

დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე“, ცხრილში მეორე, მათიას ზამერის „ბორუსია“, მესამე — თავისი ყოფილი დამრიგებლის, ბერტი ფოგტსის „ლევერკუზენს“ დაუხვდება. წინა ტურში ლიდერობადაკარგული „დორტმუნდი“ ჯანზეა. დაუბრუნდება ნიგერიის ნაკრებმოვლილი სანდი ოლისე. შუა ხაზში ნიჭიერი ჩეხი გამთამაშებლის, ტომაშ როსიცკის იმედი ექნება, ხოლო შეტევაში, „კიკერის“ ვერსიით სამნი: რიკენი, ბობიჩი და რეინა ითამაშებენ.

უმადობას არც „ლევერკუზენი“ უჩივის. ბოლო ტურში „ვერდერთან“ 3:0 მომგები შემადგენლობა თითქმის არ შეიცვლება. ლევერკუზელებს კვლავაც დისკვალიფიცირებული ბრაზილიელი ნახევარმცველი რობსონ პონტე დააკლდებათ. სამაგიეროდ, მწყობრში ჰყავთ წინა მატჩის გმირები ლუსიო და ნოივალი.

„ოლიმპიაშტადიონზე“ დიდი მიუნხენური დერბია. „ბაიერნი“ მას ჩინებული განწყობით ხვდება, შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა და ხელმძღვანელობის, ბეკენბაუერ-ჰიონესის საქებარი სიტყვებიც დაიმსახურა. ბუნდესლიგაშიც ლიდერობს, „დორტმუნდს“ ერთი ქულით უსწრებს და „მიუნხენის“ დამარცხებაზეც არ იტყვის უარს. ჰიცფელდის გუნდს ფრანგი მცველი ვილი სანიოლი და ბრაზილიელი შუახაზელი პაულო სერჟიო დააკლდება, ორივეს ტრავმები აწუხებთ, სანაცვლოდ ოთხშაბათს „არსენალთან“ ტრიბუნაზე მჯდომი გამთამაშებელი, შტეფან ეფენბერგი დაუბრუნდებათ.

„მიუნხენი“, რომელსაც დღეისათვის მე-11 ადგილი უჭირავს, არაფრის დათმობას აპირებს: „დიდი დრო არ გასულა, რაც „დორტმუნდი“ და „ლევერკუზენი“ 1:0 დავამარცხეთ — ამბობს „ლომების“ (მიუნხენელთა მეტსახელია) ნახევარმცველი დანიელ ბიროფკა — თუ მოვახერხეთ და თავი კარგად დავიცავით, „ბაიერნს“ დიდი პრობლემები შეექმნება, ჩვენ „დიდი სამეულიდან“ მესამეს დამარცხებასაც შევძლებთ. 1:0 ჩინებული იქნება“.

ჩვენებურების „ფრაიბურგი“ ერთ დროს ლიდერ „შალკეს“ ეწვევა. საინტერესოა, რომ შინ, გელზენკირხენში, წლევანდელ სეზონში „შალკემ“ მხოლოდ ერთხელ წააგო, წინა ტურში კი ფრანკფურტში „აინტრახტთან“ უგოლო ფრე ითამაშა და რახან პირველობის შანსი ჯერ არ დაუკარგავს, დღეს „ფრაიბურგთან“ აუცილებლად მოგებას ეცდება. ჯერალდ ასამოა და ოლაფ ტონი, ძირითადის ეს ორი ფეხბურთელი მასპინძლებს ტრავმების გამო დააკლდებათ. „ფრაიბურგს“ კი სასჯელმოხდილი ლევან კობიაშვილი დაუბრუნდება. შეტევაში წინა თამაშის გმირ სელიმითან ერთად კვლავ ალექსანდრე იაშვილი ითამაშებს. ცქიტიშვილი კი ისევ დაშავებულია. „კიკერს“ მიაჩნია, რომ „დორტმუნდთან“ ბოლო საშინაო შეხვედრაში „ფრაიბურგს“ ნახევარდაცვაში პრობლემები შეექმნა და კობიაშვილის მიმატება მათთვის, სწორედაც რომ მისწრებაა.

ბუნდესლიგაში კვირასაც ჟრიამული იქნება. ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელი „ვერდერი“ ბრემენში „კაიზერსლაუტერნს“ უმასპინძლებს. „ლაუტერნს“ 43 ქულა მოუგროვდა და ლიდერ „ბაიერნს“ სამით ჩამორჩება. ბოლო დღეებში ანდრეას ბრემეს გუნდმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. ტურში „მიუნხენს“ მოუგო, მერე, გუშინწინ უეფას თასზე ჰოლანდიური პსვ დაჩაგრა და ტურნირის ნახევარფინალში გავიდა, ახლა კი „ვერდერსაც“ დიდ ბრძოლას პირდება. „წითლებს“ დაშავებული ფრანგი ნახევარმცველი იური ჯორკაეფი და დისკვალიფიცირებული შემტევი მიროსლავ კლოსე დააკლდებათ. მასპინძლები დაცვაში, ასევე დასჯილი მლადენ კრსტაიჩის ნაცვლად, ანდრე ვიდენერს ათამაშებენ. მწვრთნელი თომას შაფი გაბრაზებული ყოფილა. ხუმრობა ხომ არაა, ოთხეულში მოსახვედრად მებრძოლმა გუნდმა გასულ უქმეებზე ლევერკუზენში 0:3 წააგო...

## ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# მალიორკა ჩემპიონთა ლიგაზე მნიშვნელოვანია

| XXVII ტური | |
|---|---|
| **დღეს** | |
| ლას პალმასი | დეპორტივო |
| **ხვალ** | |
| სოსიედადი | ალავესი |
| რაიო ვალეკანო | ოვიედო |
| ესპანიოლი | ვალიადოლიდი |
| სელტა | ვალენსია |
| ოსასუნა | მალაგა |
| სარაგოსა | ბილბაო |
| ნუმანსია | ბარსელონა |
| მალიორკა | რეალი |
| ვილიარეალი | რასინგი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 26 | 17 | 5 | 4 | 60:29 | 56 |
| დეპორტივო | 26 | 15 | 6 | 5 | 52:29 | 51 |
| ვალენსია | 26 | 14 | 7 | 5 | 41:18 | 49 |
| ბარსელონა | 26 | 13 | 6 | 7 | 54:37 | 45 |
| მალიორკა | 26 | 11 | 9 | 6 | 36:33 | 42 |
| ვილიარეალი | 26 | 11 | 6 | 9 | 34:30 | 39 |
| ალავესი | 26 | 11 | 5 | 10 | 38:33 | 38 |
| მალაგა | 26 | 11 | 4 | 11 | 41:39 | 37 |
| ბილბაო | 26 | 9 | 8 | 9 | 34:37 | 35 |
| სელტა | 26 | 9 | 8 | 9 | 32:36 | 35 |
| რაიო ვალეკანო | 26 | 8 | 10 | 8 | 45:44 | 34 |
| ესპანიოლი | 26 | 9 | 6 | 11 | 33:30 | 33 |
| ვალიადოლიდი | 26 | 7 | 11 | 8 | 30:31 | 32 |
| ლას პალმასი | 26 | 9 | 5 | 12 | 26:43 | 32 |
| სარაგოსა | 26 | 7 | 10 | 9 | 36:37 | 31 |
| ოვიედო | 26 | 8 | 4 | 14 | 33:48 | 28 |
| ნუმანსია | 26 | 7 | 5 | 14 | 26:45 | 26 |
| სოსიედადი | 26 | 6 | 6 | 14 | 28:54 | 24 |
| რასინგი | 26 | 6 | 5 | 15 | 30:43 | 23 |
| ოსასუნა | 26 | 5 | 8 | 13 | 27:40 | 23 |

**აშკარაა,** ტურის მატჩად „მალიორკა“ — „რეალი“ უნდა მივიჩნიოთ.

კუნძულელებმა დღეისთვის ყველაზე გამოცდილი ესპანელი მწვრთნელის, ლუის არაგონესის თავკაცობით აქამდე „დეპორტივო“ 2:1 დაამარცხეს, ხოლო გასულ უქმეებზე „ბარსელონას“ ფრედ ეთამაშნენ. უფრო ადრე, ნოემბერში, „მალიორკამ“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალსაც“ 2:0 მოუგო. მაგრამ ბობოლებთან ასეთი კარგი შედეგის მიუხედავად, „მალიორკამ“ მათზე მეტი ქულები დაკარგა სუსტ გუნდებთან და მეხუთეა, თუმცა „ბარსელონას“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება.

მასპინძელთა იმედი, „რეალიდან“ წაყვანილ სამუელ ეტოოს, კატალონიელ ალბერტო ლუკესა და არგენტინელი ნახევარმცველ არიელ იბაგარას ძალას ემყარება.

ვისენტე დელ ბოსკეს ჩემპიონთა ლიგაში „ანდერლეხტის“ წინააღმდეგ ნახევარი გუნდი სათადარიგოთა სკამზე ჰყავდა ან სულაც მადრიდში დაეტოვებინა და, ახლა რჩეული შემადგენლობით აპირებს მეტოქის ძლევას. ძნელი კი იქნება. დედაქალაქელთა ახალგაზრდა მეკარე იკერ კასილიასიც აღიარებს, „მალიორკამ“ შეიძლება ყველასთან წააგოს, ჩვენთან კი არაფერს დათმობს. ამიტომ ჩემპიონატის მოგებამდე ეს გუნდი ჩვენს უმთავრეს მეტოქედ რჩებაო.

„მილანთან“ უმძიმესი მატჩის შემდეგ „დეპორტივო“ გადაღლილია, მაგრამ მეორე მხრივ ლიგის მეოთხედფინალში გასვლით ფრთაშესხმულ ლაკორუნიელებს „ლას პალმასი“ დაუძლეველ ზღუდედ არ უნდა მიაჩნდეთ, მით უმეტეს, რომ „რეალმა“ თუ მალიორკაში წაიფორხილა, „დეპორტივო“ ლიდერს მეტად სახიფათოდ მიუახლოვდება.

სტუმართა მიზანს ერთი გარემოება მაინც აფერხებს, ხავიერ ირურეტას დღეს მაურო სილვა და ფრანი არ ეყოლება. ასევე საეჭვოა მეკარე ხოსე მოლინასა და ჯალმინიას თამაშიც, რომელთაც კუნთები ჰქონდათ დაჭიმული.

„ვალენსიას“ მძიმე ბრძოლა ელის ვიგოში, სადაც „სელტა“ ამ სეზონში მხოლოდ ერთხელ დამარცხდა. სტუმრებს დისკვალიფიცირებული გაისკა მენდიეტა და ჟოსელინ ანგლომა არ ეყოლებათ, ხოლო პაბლო აიამარი და დიდიე დეშამპი, ადრეც ვთქვით, ლიგაში „პანათინაიკოსთან“ შეხვედრისას დაშავდნენ და უფრო დიდხანს თუ არა, ამ თვეში მაინც ველარ ითამაშებენ.

დიდი თავსატეხი გასჩენია „ესპანიოლს“. ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ტონი ველამასანი დისკვალიფიცირებულია. თითქოს ერთი კაცის არყოფნა დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს, მაგრამ ველამასანი „ესპანიოლისთვის“ ძალიან ბევრს ნიშნავს და ამ სეზონში ბარსელონელთა მეორე კლუბში მის დარად არავინ თამაშობს. სავარაუდოდ, ფრანსისკო ფლორესი ველამასანის ადგილს ხუან ნან რიბერას ჩააბარებს. აღსანიშნავია, რომ ესპანიოლელთა მეტოქე „ვალიადოლიდს“ ჯერ ერთხელაც არ მოუგია სტუმრად.

ხუთი ტურის წინ, როცა „ბარსელონა“ სანტანდერს ესტუმრა, მასპინძელთაგან გრანდის განადგურებას არავინ ელოდა — „რასინგი“ ცხრილის ფსკერზე სულს ღაფავდა. ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ „ბარსას“ მეტოქე ახლაც ერთ-ერთი აუტსაიდერია. ცხადია, ძველი შემთხვევის გახსენება არაფერს ნიშნავს, მით უფრო, რომ ბრწყინვალე ფორმაშია რივალდო, რაც უეფას თასზე „სელტასთან“ საპასუხო მატჩმაც დაადასტურა, მაგრამ იმავე შეხვედრაში „ბარსელონას“ სუსტი ადგილებიც გამოჩნდა. თუმცა რატომ იმ მატჩში? აქამდეც ხომ ჩანდა, რომ კატალონიელთა დაცვას წინახაზელთათვის მხარის აბმა უჭირს და მეტად არასტაბილურია. ამას აბელარდოს ტრავმაც ემატება და სერხის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციაც.

სორიელთა მიზანი კი ისაა, კვირას როგორმე ერთ ქულას გამორჩეს. მარტივი გათვლაა — ეს თუ შეძლეს, უახლოესმა მდევარმა რომც მოიგოს, მაინც გასავარდნთა ზონის მიღმა დარჩებიან.

სოსიელთა უახლოესი მდევარი „რეალ სოსიედადია“, რომელიც „ალავესს“ მასპინძლობს. ჯონ ტოშაკს უთქვამს, მოგება თუ გვინდა, ბასკური დერბის წინ, გასულ უქმეებზე „რეალთან“ 0:4 მარცხის დავიწყება გვმართებსო. ჩვენთვის ეს თამაში იმითაცაა საინტერესო, რომ უეფას თასის ნახევარფინალისტის წინააღმდეგ სხვა სანსებასტიანელთან ერთად გიორგი დემეტრაძემაც უნდა ითამაშოს. გავიხსენოთ, რომ ესპანეთში გადასვლის შემდეგ ჩვენებურს მხოლოდ ოცი წუთი აქვს ნათამაშევი და დანარჩენი ორი თვე ექიმთა ხელში გატარა.

საინტერესო შემთხვევაა, „სარაგოსა“ სეზონში შინ ერთადერთხელ დამარცხებულა, ხოლო „ატლეტიკოს“ სტუმრად ერთხელ მოუგია. კვირას ეს გუნდები ერთმანეთს ხვდებიან და ვნახოთ, რა მოხდება.

წინა ტურში ორივე გუნდმა ქულები დაკარგა. „ბილბაო“ შინ ფრედ ეთამაშა „ვილიარეალს“, „სარაგოსა“ კი მალაგაში დამარცხდა. თუ მასპინძელთა მწვრთნელ ლუის კოსტას ვერწმუნებით, მისი გუნდი აუცილებლად მოიგებს. რაც შეეხება ბასკებს, მათ იულენ გერერო არ ეყოლებათ.

„ალავესის“ მიღწევა მოსვენებას არ აძლევს „ვილიარეალს“ და გაისად უეფას თასზე გასვლისთვის იბრძვის, თან საკმაო წარმატებითაც. გუნდის მთავარ იმედად კი მარტინ პალერმო რჩება, რომელმაც, რამე გაუთვალისწინებული თუ არ მოხდა, გვარიანი პრობლემები უნდა შეუქმნას სანტანდერულ დაცვას. თავის მხრივ, არც „რასინგი“ თვლის თავს განწირულად, რისი დასტურიც გუნდის ბოლოდროინდელი კარგი თამაშია.




ლიგაში დაშავებული პაბლო აიმარი (მარჯვნივ) პრიმერადივიზიონს ერთი თვით დაეთხოვა

ევროპის ერთა თასი. მეოთხე ტური. 17 მარტი

# საქართველო - ესპანეთი

რუსთავი. «ფოლადის» სტადიონი. 15 საათი

# იბერიელები ორ ბედ ქვეშ

## ესპანეთში მატრიარქატია, საქართველოში უქრაობა

***ხვალ** რუსთავის „ფოლადზე“ „ევროპის ერთა თასის“ მეოთხე ტურის მატჩია. ქართველი „ბორჯღალოსნები“ ესპანელი „ლომების“ დამარცხებას შეეცდებიან. ესპანელთა დელეგაცია ორი დღეა, თბილისში იმყოფება. სტუმარი მორაგბეები ასკ-ის სტადიონზე ვარჯიშობენ. გუშინ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ და პრესცენტრის ხელმძღვანელმა გია კუბლაშვილმა მასმედიას უმასპინძლეს. ესპანელთა დელეგაციას ქვეყნის რაგბის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ხოსე ლუის პენია და გუნდის უფროსი ენრიკე როლდანი წარმოადგენდნენ. ტრადიციისამებრ პირველი სიტყვა ჩვენს სტუმრებს ერგოთ. თარჯიმნის როლში პოპულარული ტელეწამყვანი, თეა გვასალია მოგვევლინა.*

***ხოსე ლუის პენია:***

— საქართველოში შესუსტებული შემადგენლობით ჩამოვედით. გარდა იმისა, რომ რამდენიმე მორაგბეს ტრავმებმა შეუშალა ხელი, თბილისში ვერ ითამაშებს გუნდის კაპიტანი ანტონიო ლეონიც, რაც დიდი დანაკლისია. მაგრამ ხვალ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ისე არ გამიგოთ, რომ ჩვენს წარმატებაში ეჭვი არ მეპარება. უბრალოდ, მოსაგებად ჩამოვედით და მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავთ. მით უმეტეს, უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს.

— შარშან საკმაოდ დაძაბული და მძიმე შეხვედრა მოვიგეთ. არც კი მეგონა, რომ გავიმარჯვებდით. ქართველებმა ჩინებულად ითამაშეს, მაგრამ მეორე ტაიმში გარდატეხის შეტანა მოვახერხეთ და თითქმის წაგებული შეხვედრა ჩვენდა სასიკეთოდ შემოვატრიალეთ.

— ვერ გეტყვით, რომელი მორაგბე დაიწყებს თამაშს სასტარტო შემადგენლობაში. ვერც იმას მოგახსენებთ, ვინ უკაპიტნებს ნაკრებს. ეს მთლიანად მთავარი მწვრთნელის, პაბლო ტომას-გარსიას გადასაწყვეტია.

— ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ერთეული გამონაკლისების გარდა, ესპანეთში ნომერ პირველი სპორტული სახეობა ფეხბურთია. რაგბის სადღაც მეექვსე-მეშვიდე ადგილი უჭირავს. პრობლემები ჩვენც გვქონდა, მაგრამ სახელმწიფო ძალიან დაგვეხმარა და სირთულეები იოლად დავძლიეთ. თქვენგან განსხვავებით, ესპანეთში მთავრობა სპორტს სხვადასხვაგვარად უდგება. ძირითადი პრივილეგიები იმ ნაკრებ გუნდებს ენიჭებათ, ვინც სხვებზე მაღალ შედეგს აღწევს. მაგალითად, ესპანეთის ქალ მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს პირველობაზე პირველი ადგილი მოიპოვა, სამჯერ კი ვერცხლის მედლები მოიგო. ასე რომ, ქალთა ნაკრები გაცილებით მეტ დახმარებას იღებს, ვიდრე ვაჟთა გუნდი, მაგრამ უსახსრობას და უყურადღებობას ნამდვილად არ ვუჩივით. მინდა, ერთი რჩევა მოგცეთ. ეს განსაკუთრებით ჟურნალისტებს ეხებათ — დღეს ტელევიზიას და პრესას დიდი გავლენა აქვს. სწორედ ჟურნალისტებმა უნდა შეძლოთ რაგბის პოპულარიზაცია. რაც უფრო მეტი დაიწერება და ითქმევა, მით მეტი და მეტი ადამიანი დაინტერესდება. რომ შეხედავენ, რაგბი ასეთი პოპულარული გახდა, არც სპონსორების მოზიდვა გაგიჭირდებათ.

***როდესაც ხოსე ლუის პენიამ ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა, საქართველო — ესპანეთის მატჩის თემა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ განაგრძო:***

— ზოგიერთმა საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს რუსთავში თამაში ჩვენი, რაგბის კავშირის სურვილი იყო. ეს ასე არ არის. ყველას კარგად მოგეხსენებათ, 28 მარტს „ეროვნულზე“ საფეხბურთო მატჩი უნდა გაიმართოს. ფეხბურთის ფედერაციამ და თბილისის მერიამ თხოვნით მოგვმართეს, იქნებ ესპანელებს სხვაგან უმასპინძლოთო. ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. მართალია, შეგვეძლო, „ეროვნულზე“ გვეთამაშა, მაგრამ არც ის გვინდოდა, არასასურველი შედეგის შემთხვევაში ფეხბურთელებს ყველაფერი მორაგბეებისთვის დაებრალებინათ, აქაოდა, მოედანი გააფუჭეს და თამაში გაგვიჭირდაო. თათბირი თათბირს მოსდევდა, ვინ არ ჩაერია, საბოლოოდ რუსთავის ვარიანტზე შევთანხმდით. სტადიონის ნორმალურ მდგომარეობაში მოსაყვანად კი დახმარება აღგვითქვეს. ახლა გაირკვა, რომ „ფოლადის“ სტადიონის ხელმძღვანელობა საფეხბურთო კარის მოხერხვას არ აპირებს. მათ არ ჰქონდათ იმის იმედი, რომ ფეხბურთის ფედერაცია დანაპირებს აასრულებდა და თანამედროვე ტიპის კარს მისცემდა. სტადიონის ხელმძღვანელლები ჩემთან მოვიდნენ და ფეხბურთის ფედერაციასთან შუამდგომლობა მთხოვეს. მივედი ფეხბურთის ფედერაციაში, ვთხოვე „ფოლადის“ სტადიონის დირექციისთვის საგარანტიო ფურცელი მიეცათ. თხოვნა დააკმაყოფილეს და საფეხბურთო კარსაც მოხერხავენ.

***გია კუბლაშვილი:***

— მორაგბეებმა პირველად დაიწუწუნეს. მართალიც იყვნენ. თქვენ ნახეთ, როგორ მდგომარეობაშია დღეს „ფოლადის“ სტადიონის მოედნის საფარი. იქ ვარჯიშიც შეუძლებელია.

***ბიძინა გეგიძე:***

— რამდენჯერმე უკვე ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, „ეროვნულზე“ თამაში ჩვენი ახირება არ არის. ესპანელებთან მატჩი წლეულს საქართველოს ნაკრებისთვის ბოლო საშინაო შეხვედრაა. ძალიან გვინდოდა, გულშემატკივარს იგი „ეროვნულზე“ ეხილა. რუსთავში თამაშით გულშემატკივართა დიდ ნაწილს ვკარგავთ, ვინაიდან „ფოლადის“ სტადიონი გაცილებით ნაკლებს იტევს, ვიდრე „ეროვნული“.

— მოდით, პირდაპირ ვთქვათ სიმართლე. რა დონესაც დღეს საქართველოს ნაკრებმა მიაღწია, ეს მთლიანად ჩვენი რაგბის კავშირის დამსახურებაა. ჯერ კიდევ სამი წლის წინათ, როდესაც მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპზე გავედით, ვამბობდით, რომ მარტო რაგბის კავშირი ვერაფერს გახდებოდა, საჭირო იყო სახელმწიფოს დახმარება, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ჩვენ მაინც ვაგრძელებდით მუშაობას და როგორღაც მოვახერხეთ წარმატებების მიღწევა. როცა უცხოელ კოლეგებს ვხვდები, ყველა მეუბნება, თქვენი წინსვლა დროებითია და არალოგიკურიო. უნდა დავამტკიცოთ, რომ არაფერი არალოგიკური ჩვენს მიღწევებში არ არის. თუ ერთმანეთს გვერდში არ დავუდექით და არ დავეხმარეთ, არაფერი გამოგვივა, რასაც მივაღწიეთ, იმასაც დავკარგავთ.

— თბილისის მერია და სპორტის დეპარტამენტი ტრანსპორტით დაგვეხმარა. გარდა იმისა, რომ გულშემატკივარს თბილისიდან ავტობუსები უფასოდ მოემსახურება, გამოიყო ავტობუსები ჭაბუკ და ბავშვთა ლიგებში მოთამაშე მორაგბეებისთვის. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ულტრასონოგრაფიის ცენტრს. მატჩის შემდეგ ქართველ მორაგბეებს ზემოთ ნახსენებ ცენტრში უფასო გამოკვლევა ჩაუტარდებათ, რაც ჩვენთვის დიდი შეღავათია.

**ბაჩო სვანიძე**



საქართველო — ესპანეთის მატჩისწინა პრესკონფერენცია

| საბარაუდო შემადგენლობა | | |
|---|---|---|
| **საქართველო** | | **ესპანეთი** |
| ძირითადი შემადგენლობა | | |
| ბესიკ ხამაშურიძე | 15 | ფერან ველასკო |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 14 | მიგელ ანხელ ფრეჩია |
| თედო ზიბზიბაძე | 13 | ფერნანდო დიესი |
| კახა ალანია | 12 | ალვარო ენსიზო |
| ვასილ კაცაძე | 11 | ანტონიო სოსიასი |
| პალიკო ჯიმშელაძე | 10 | ანდრეი კოვალენკო |
| ირაკლი აბუსერიძე | 9 | ხაიმე ალონსო-ლასერასი |
| ზურაბ მჭედლიშვილი (კაპ) | 8 | ალფონსო მატა |
| გია ლაბაძე | 7 | ვალენტინ ტრილიო |
| დავით ბოლღაშვილი | 6 | კარლოს სოუტო |
| ვიქტორ დიდებულიძე | 5 | ოსკარ ასტარლოა |
| ვანო ნადირაძე | 4 | სერხიო სოუტო |
| ლევან ცაბაძე | 3 | ხოსე იგნასიო საპატერო |
| გოდერძი შველიძე | 2 | ფერნანდო დელაკალე |
| მევლუდ მთიულიშვილი | 1 | ხავიერ სალასარი |
| სათადარიგონი | | |
| აქვსენტი გიორგაძე | 16 | ხოსე მარია ბოორკესი |
| ტარიელ რატიანიძე | 17 | ხონადაბ დიასი |
| ილია ზედგინიძე | 18 | მარკო გარსია კრისტენსენი |
| ბესიკ უდესიანი | 19 | ასის გარსია-მასარიეგოსი |
| შოთა მოდებაძე | 20 | ხორხე დეურკესი |
| ვასილ აბაშიძე | 21 | დანიელ რიპოლი |
| გუჯა იოვაძე | 22 | ორიოლ რიპოლი |

***მსაჯები:** მალარტიკი, ბერდოსი, პომარენტე (საფრანგეთი)*
***კომისარი:** კალიტენკო (უკრაინა)*



საქართველოს ნაკრების ფრანგი მწვრთნელი კლოდ სორელი

# სორელი ჩვენს სამზარეულოში არ იხედება და ქომაგის იმედიც აქვს

**დღეს** საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რუსთავში ესპანელებს დაუხვდება. სწორედ რუსთავი შეირჩა დიდი დავიდარაბის შემდეგ პირინეელთა სამასპინძლოდ. ხუთშაბათიდან მოყოლებული ბორჯღალოსნები „ფოლადზე“ ემზადებიან, სადაც ესპანელთა მსგავსად მათაც პირველად მოუწევთ თამაში. გუშინწინ სტადიონზე მისულმა ქართველთა ფრანგმა თავკაცმა კლოდ სორელმა მინდორი შეამოწმა, ფეხბურთის კარს რას უზამთო, ლელო რამხელა იქნებაო, კიდევ რამდენიმე საქმიანი კითხვა დასვა და მერე ჩვენთან სასაუბროდ მოიცალა:

**— ბატონო კლოდ, როგორია პირველი შთაბეჭდილებები სტადიონის ნახვის შემდეგ?**

— რა თქმა უნდა, უფრო მნიშვნელოვან სტადიონზე თამაში უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რას ვიზამთ. მინდორს არა უშავს. იმედია, მატჩისთვის ყველა საჭირო სამუ ს ჩატარება მოესწრება.

**— როგორ ფიქრობთ, თბილისში თამაში უკეთესი იქნებოდა?**

— ეს ჩემი საქმე არ არის, თქვენი საშინაო პოლიტიკაა. როგორც მითხრეს, „ეროვნულზე“ ბალახის საფარის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და იქ ცოტა ხნით თამაში არ შეიძლება.

**— უფრო სწორად, 28 მარტის საქართველო — რუმინეთის საფეხბურთო შეხვედრისთვის ამზადებენ...**

— კიდევ გიმეორებთ, თქვენი სპორტის შიდა სამზარეულო მე არ მეხება. ისე, რუსთავში თამაში ერთგვარად კარგიცაა საქართველოში რაგბის პოპულარიზაციისთვის. მოვლენ ბავშვები, ნახავენ ამ მშვენიერ თამაშს და ეგებ რაგბიზე სიარულიც მოუნდეთ. მომავალში ქუთაისსა და ბათუმშიც სიამოვნებით გავმართავდით ნაკრების მატჩებს.

**— კარგი, დავანებოთ თავი სტადიონს და კრასნოდარში მოგებულ თამაშს დავუბრუნდეთ. მაგრად გაგაწვალეს რუსებმა შეხვედრამდე?**

— კი. არ მოველოდი, თუ ამდენ პრობლემას შეგვიქმნიდნენ. კი ვუთხარი, რომ ეს მათთვისაც ცუდი იქნებოდა, მაგრამ ადამიანებს ვერ შეცვლი, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

**— თავად მატჩის შესახებ თქვენი აზრი ძალიან საინტერესო იქნება.**

— უპირველეს ყოვლისა, სწორად შერჩეული სტრატეგიის წყალობით მოვიგეთ. რუსებს სიურპრიზი მოვუმზადეთ, შეტევები იქიდან დავგეგმეთ, საიდანაც არ ელოდნენ, ძირითადად სამეოთხედელებით ვუტევდით. ბიჭებმაც უდიდესი თავდადებით იბრძოლეს. ვერც ერთ მათგანს ვერ გამოვარჩევ, ყველა მშვენივრად გაისარჯა. გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ, თანაც ვიდეოჩანაწერებით ვიცოდით, რომ მეტოქე ტექნიკურად მოიკოჭლებდა. თუმცა ჩვენს თამაშში ხარვეზები ძალიან ბევრი იყო, ბევრ ბურთს ვკარგავდით. მაინც კი მოვიგეთ, მაგრამ ამ შეცდომების გარეშე გაცილებით იოლად გავიმარჯვებდით. ლაბაძის ლელო კი მშვენიერი გამოდგა.

**— ტრავმის გამო გაკლდათ და არც ესპანეთთან გეყოლებათ გრეგუარ იაშვილი, რომელიც საფრანგეთის მოქალაქეა. მან ორი მატჩი გამართა საქართველოს ნაკრებში, როგორ დაახასიათებდით მას?**

— იგი ფრანგული სკოლის ტიპიური წარმომადგენელია. დაცვაში ბრწყინვალეა, უამრავ შებოჭვას ახერხებს, ბურთს თითქმის არ კარგავს და დერეფანსა და შერკინებაშიც მშვენივრად ირჯება. ერთი ეგაა, შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში უჭირს ცოტა, მაგრამ ამ ნაკლსაც გამოასწორებს.

**— შაბათის მეტოქეზე რას გვეტყოდით?**

— ძალიან სახიფათო მოწინააღმდეგე გვყავს, რომელიც ჩვენზე გაცილებით გამოცდილია, რადგან ორ მსოფლიოს თასზე გაუღწევია. უკანა ხაზი განსაკუთრებულად აღნიშვნის ღირსია. ესპანელმა მოშვიდკაცეებმა ხომ მსოფლიოს ბოლო ორი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც ითამაშეს. დამრტყმელიც ძალიან ძლიერი ჰყავთ. შესაბამისად რაც შეიძლება ნაკლებად უნდა დავჯარიმდეთ. ზედმეტად დისციპლინირებულნიც კი უნდა ვიყოთ, თორემ ესპანეთი ბლომად ქულებს მოიხვეჭს. გარდა ამისა, ყურადღების წამით მოდუნებაც არ შეიძლება, რადგან პირინეელები ფეთქებადნი არიან. მათ შეიძლება 50 წუთი დაცვაში გაატარონ, განუწყვეტლივ ბოჭონ მეტოქე, მერე უცებ ბურთი მოიხელთონ, ელვისებური კონტრიერიში განახორციელონ და ლელოც გაიტანონ. ერთი სიტყვით, საკმაოდ ძნელი და რთული მატჩი გველის.

**— და მაყურებლის მხარდაჭერაც გჭირდებათ...**

— თავისთავად. იმედი მაქვს, რომ სტადიონი გადაიჭედება, მით უმეტეს, ოთხი რუსთაველია ნაკრებში. ჰოდა, ქომაგებიც უნდა დაგვეხმარონ ესპანეთის ძლევაში.

**გაგი გურული**



სარბიელი

## ექვსი ერის ჩემპიონატი. მეოთხე ტური 17 მარტი

**ტურნირის მეოთხე ტურის მხოლოდ ორი მატჩი იყო დღეისთვის დანიშნული. ირლანდია ინგლისს ერთი კვირის თავზე უნდა დახვედროდა, მაგრამ 24 მარტის შეხვედრა თურქულის ეპიდემიის გამო გადაიდო. წესით და რიგით, თუ კიდევ რაიმე არ შეიცვალა, ირლანდიელები მეტოქეს 5 მაისს უმასპინძლებენ დუბლინში. „სამყურები" დანარჩენ ორ თამაშს 29 აპრილსა და 12 მაისს ჩაატარებენ. ისინი ჯერ უელსელებს ესტუმრებიან, მერე კი შოტლანდიელებს. ეს რაც შეეხება ექვსი ერის ჩემპიონატის აბსურდულ კალენდარს, ახლა კი დღევანდელ მატჩებზე ვისაუბროთ.**

# თუ მოირჩა, რადა გაამაგრებს

**საფრანგეთი — უელსი**

შარშან ამ გუნდების კარდიფულ დაპირისპირებაში სტუმართა ახალი მთავარი მწვრთნელის — ბერნარ ლაპორტის დებიუტი შედგა. ფრანგებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და უელსელები 36:3 გაანადგურეს. თუმცა მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და „ლურჯებმა" მხოლოდ ერთი დასამახსოვრებელი მატჩი გამართეს (ახალ ზელანდიას 42:33 მოუგეს მარსელში). ასე რომ, ამჟამად საფრანგეთი გაიმარჯვებსო, გადაჭრით თქმა ნამდვილად არ შეიძლება.

შეჯიბრების პირველ სამ ტურში „მამლები" შეტევაში ძალიან უგერგილოდ ირჯებოდნენ. ლაპორტმა ირლანდიაში წაგებას (15:22) შუამარბები, რიშარ დურთი და ფრანკ კომბა გადააყოლა. გარე ნახევარმცველმა კრისტოფ ლამეზონმა კი იტალიაში თავისი უნიათობის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. ანუ დღეს საფრანგეთს სავსებით სხვა ცენტრი ეყოლება, ვიდრე პირველ ტურში. ლამეზონის ადგილს ჟერალდ მერსერონი დაიკავებს, რომელსაც მსოფლიოს ყველაზე შედეგიანი მორაგბე ნილ ჯენკინსი (1024 ქულა სანაკრებო დონეზე) დაუპირისპირდება. მერსერონი ფრანგთა ერთადერთი დამრტყმელი იქნება.

შუამარბებად ლაპორტმა ტომა ლომბარი და სებასტიან ბონეტი გაამწესა, რომელთაც შეტევის გარდა დაცვაშიც ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ, რადგან უელსელი ბულდოზერები, სკოტ გიბსი და მარკ ტეილორი იოლი შესაჩერებელნი არ არიან.

საფრანგეთს მცირედი უპირატესობა მაინც გააჩნია. მისი შერკინება მოწინააღმდეგისას აშკარად სჯობს, განსაკუთრებით მობილურობის მხრივ. დაცვა ხომ ლამის გაუვალი აქვთ მასპინძლებს, რომლებმაც აქამდე მხოლოდ ორი ლელო გაუშვეს.

თანაც შეიძლება უელსზე იმანაც იმოქმედოს უარყოფითად, რომ თურქულის გამო მას წინა ტურის გამოტოვებამ მოუწია. მანამდე „წითლებმა" შინ ინგლისთან შეირცხვინეს თავი (15:44), მერე კი შოტლანდიაში ფრე გაახერხეს (28:28). ეს ორი შედეგი მათ სიძლიერეზე ნამდვილად არ მეტყველებს, არადა, 1999 წლის ექვს ერზე საფრანგეთისა (34:33) და ინგლისის (32:31) ძლევის შემდეგ მათი ახალზელანდიელი თავკაცი გრემ ჰენრი ლამის გმირად შერაცხეს. მერე კი დაღმასვლა დაიწყო, რომლის დასასრულიც დღეს „სტად დე ფრანსზე" მიღწეული წარმატება შეიძლება იყოს. ვინ იცის.

ბარემ, ისიც დავამატოთ, რომ თუ უელსმა დღეს თავისი პირველი გამარჯვება ვერ მოიპოვა, როგორც უელსური გაზეთები წერენ, მისი სკამი გვარიანად მოირყევა და მერე ტურნირის უსუსტესი იტალიის სავარაუდო დამარცხება მას ველარ გაამაგრებს.

**შოტლანდია — იტალია**

უელსის მსგავსად, ეს გუნდებიც ჯერჯერობით გაუხარელნი არიან და პირველი გამარჯვებისთვის არაფერს დაიშურებენ. თანაც სკოტებს შარშანდელი მარცხისთვის რევანში აქვთ ასაღები. მაშინ ტურნირის პირველ მატჩში იტალიამ 34:20 მოიგო რომში. შოტლანდიის მთავარ მწვრთნელ იან მაკგიქანს კარგად ახსოვს ის წაგება: „საშინელი მატჩი იყო. მორაგბეებმა მთლიანად დაკარგეს თავიანთი თავის რწმენა და კიდევ სამჯერ წავაგეთ. მხოლოდ ბოლო ტურში ინგლისთან შევძელით გამარჯვება. წლეულს იტალიელები ყველა მატჩში დამარცხდნენ, მაგრამ ყველას, განსაკუთრებით კი ფრანგებს, ბევრი თავსატეხი გაუჩინეს."

მაკგიქანმა ლათინთა დასახვედრად შერკინების ნახევარმცველად ენდი ნიკოლის ნაცვლად ბრაიან რედფასი გამოიძახა, შუამარბად კი გრეგორ თაუნსენდი დააბრუნა, რომელმაც პირველ ტურში საფრანგეთში მიღებული ტრავმა მოიშუშა. გარდა ამისა, სკოტთა შემადგენლობაში კიდევ ორი ცვლილებაა. მატჩს მარჯვენა ფრთაზე კამერონ მიურეის ნაცვლად ჯეიმს კრეიგი დაიწყებს. შერკინების მეორე ხაზში კი სტიუარტ გრიმსი იდგება რიჩარდ მეტკალფის ადგილზე.

თავის მხრივ, იტალიელთა ახალზელანდიელი თავკაცი ბრედ ჯონსტონი თვლის, რომ შოტლანდია ეცდება, შარშანდელი მოგება ცხვირში ძმრად ამოადინოს იტალიას და ამის კარგი შანსიც აქვს, რადგან აპენინელებს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდებათ.

ჯონსტონს ყველაზე მეტად თავისი შერკინების ნახევარმცველის, ალესანდრო ტრონკონის ტრავმა აღარდებს. მის ნაცვლად ფილიპო ფრატი ითამაშებს, მაგრამ დომინგესი — ფრატის წყვილი დომინგეს — ტრონკონთან რას მოვა.

დაბოლოს, შოტლანდიაში თამაშს ალბათ ძალიან დიდი ინტერესი არ გამოუწვევია, რადგან 67-ათასადგილიან „მარიფილდზე" მხოლოდ 54 ათასი ბილეთია ჯერჯერობით გაყიდული.

**გაგი გურული**



ფრანგები კრისტოფ დომინისი და ჟერალდ მერსერონი უელსელებთან შესარკინებლად ემზადებიან



# დათა კვლა არ შედგა

მასტერსის სერია. ინდიან უელსი (აშშ) ჰარდი. საპრიზო 5 მილიონი $

**ქალები**

**ნახევარფინალი: კიმ კლაისტერსი (14, ბელგია) — მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) 6:2, 2:6, 6:4; სერენა უილიამსი (7, აშშ) — ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ტრავმა**

**ხუთშაბათს,** საღამოს ექვს საათზე ინდიან უელსის ცენტრალურ კორტზე გამაყრუებელი სტვენა გაისმა. 10 ათას ქომაგს, რომლებიც სტადიონზე მაღისალმძვრელი მატჩის სანახავად მივიდნენ, პური და სანახაობა მოაკლეს — უმცროს დასთან შეხვედრის დაწყებამდე სულ რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, როდესაც ვინუს უილიამსმა მუხლის ტრავმა მოიმიზეზა და თამაშზე უარი განაცხადა.

იმედგაცრუებულ მაყურებელთა უმეტესობა სანაცვლოდ კაცების წყვილთა შეხვედრაზე დასწრებას არ დაჯაბუდა და ბილეთებში გადახდილი ფულის უკან დაბრუნება მოითხოვა. ამ ფაქტმა მეტი საფუძველი მისცა იმათ, ვინც ამტკიცებს, რომ უილიამსების მატჩები წინდაწინ ჩაწყობილია და გამარჯვებულის ვინაობას მათი მამა და მწვრთნელი რიჩარდი ადგენს (ასეთებს კი მსოფლიოს პირველ-მეორე ჩოგნები მარტინა ჰინგისი და ლინდსი დევენპორტი, ასევე ელენა დემენტიევაც განეკუთვნებიან).

„სიმართლე გითხრათ, მეც არანაკლებ გაოცებული ვარ, დილით ერთად ვივარჯიშეთ და მან მითხრა, თავს კარგად ვგრძნობო — განუცხადა ჟურნალისტებს სერენამ, რომელმაც წინასწარი შეთანხმების შესახებ გავრცელებული ჭორების უარყოფაც სცადა — ჩვენ ყოველთვის პატიოსნად ვბრძოლობთ. მამაჩემი რომ წყვეტდეს ყველაფერს, მაშინ პირად შეხვედრებში ვინუსი 4:1 არ იქნებოდა წინ. არა მგონია(!), ეს ასე იყოს. ადრე თუ გვიან ჩვენ მაინც მოგვიხდება ერთმანეთთან თამაში".

ვინუსმა მატჩის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე დაურეკა ტურნირის ექიმ მიშელ გაბრიანს, გასინჯვა სთხოვა და მარჯვენა მუხლის მყესის ანთებაზე დაიწუწუნა. გაბრიანმა დაადასტურა, რომ უფროს უილიამსს მუხლი მართლაც აწუხებს, თუმცა ისიც დაურთო, რომ ბევრი ჩოგბურთელი ასეთი ტრავმის დროს ასპარეზობაზე უარს არ ამბობს. ეჭვს იწვევს ისიც, რომ ერთი დღით ადრე, დემენტიევას განადგურების დროს, ვინუსს ფეხმტკივანობისა არაფერი ეტყობოდა.

„მუხლი ნიცის ტურნირზე დავიზიანე. მას შემდეგ ის სულ უფრო ნაკლებად მაწუხებდა, მაგრამ დღეს ვარჯიშის დროს ისევ შემახსენა თავი. მესმის, რომ ყველა იმედგაცრუებული დარჩა, მაგრამ არ მსურს, ტრავმა გავიუარესო. დღეს ბებიასავით დავრბოდი" — განაცხადა ამ აურზაურის მთავარმა მოქმედმა პირმა.

უილიამსების ოჯახურმა მინი-სკანდალმა თითქმის დაჩრდილა რამდენიმე საათით ადრე იქვე, ინდიან უელსში დაფიქსირებული სენსაცია — მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი 17 წლის ბელგიელ კიმ კლაისტერსთან დამარცხდა.

ბრწყინვალედ მოთამაშე კლაისტერსს პირველ ხელში თითქმის ყველაფერი გამოსდიოდა, მეორეში — თითქმის არაფერი. ჰინგისმა ანგარიში სეტებში იოლად გაათანაბრა და, ალბათ, ელოდა, ბელგიელი გადამწყვეტ ხელში თავად როგორ აჩუქებდა მოგებას, მაგრამ მწარედ შეცდა. ალბათ, პირველად კარიერაში, კლაისტერსმა ბოლომდე გამოიყენა თავისი დიდი პოტენცალი, მკვლელი ფორჰენდების გარდა სტაბილურობითა და აზროვნების უნარითაც გამოირჩა და მაყურებლებიცა და მრისხანე მეტოქეც არაერთხელ გააოცა ბრწყინვალე თამაშით.

„ეს, ალბათ, ჩემი საუკეთესო ტურნირი, საუკეთესო მოგებაა. მარტინასთან ყოველ მომდევნო შეხვედრაში უფრო და უფრო ვუახლოვდებოდი გამარჯვებას. ვიცი, დღეს მას მაინცდამაინც კარგად არ უთამაშია, მაგრამ შანსებსაც გამოყენება უნდოდა" — გაიხარა ბელგიელმა, რომელიც ავსტრალიელი ვარსკვლავის, ლეიტონ ჰიუიტის გელფრენდია.

„ფსიქოლოგიურად გადაღლილად ვგრძნობდი თავს. თითქოს არ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა, ქულა როგორ უნდა მომეგო. რაც უფრო მეტხანს გრძელდებოდა გათამაშება, მით უფრო ვიბნეოდი, ჩვეულებრივ კი პირიქით ხდება. კიმმა დღეს აშკარად მაჯობა, ადრინდელთან შედარებით გაცილებით ნაკლებ შეცდომას უშვებდა და მოგების არ შეშინებია — აღნიშნა მარტინამ და დედასა და მწვრთნელ მელანი მოლიტორთან მომავალი საუბრის შიშიც გამოთქვა ხუმრობით — დედა ჩვეულებრივ ძალიან არ მიბრაზდება, გააჩნია, ვისთან წავაგებ და როგორ. თუმცა არა მგონია, ახლა კარგ გუნებაზე იყოს. სიმართლე გითხრათ, სულაც არ არ მახარებს მასთან შეხვედრის პერსპექტივა".

**ვაჟები**

ქალების არ იყოს, მსოფლიოს პირველი ჩოგანი ამ დღეს ვაჟებმაც მოისაკლისეს. გუსტავო კუერტენს გამარჯვებათა 14-მატჩიანი სერია ამერიკელმა ჟან-მაიკ გემბილმა შეაწყვეტინა 7:6 (7:5), 6:4.

„გუგამ" ვერაფერი მოუხერხა იაგუარების კოლექციონერი კუნთება ამერიკელის მძლავრ მოწოდებებსა და ორხელა დარტყმებს, საკუთარ თავსა და გვერდით მსაჯზე გაბრაზებულმა, თავისდა უჩვეულოდ, ჩოგნის გდებაშიც გაივარჯიშა და სეზონში ოდენ მეორედ წააგო.



კიმ კლაისტერმა მარტინა ჰინგისი დასცა

AP ინდიან უელსიდან

„ვფიქრობ, მატჩის მსვლელობას თავიდან ბოლომდე ვაკონტროლებდი, გუსტავოს ვაიძულებდი, გამუდმებით თავი დაეძვრინა ძნელი სიტუაციებიდან, ბოლოს და ბოლოს მანაც ველარ გაუძლო. ამასთან შევეცადე, ჩემი ემოციები მომეთოკა და მხოლოდ მატჩის დასრულების შემდეგ გამეხარა, მისნაირი ჩოგბურთელები მეტოქის ენერგიით საზრდოობენ" — მიიჩნია გემბილმა, რომელმაც გასულ კვირაში დელრეი ბიჩის ტურნირი მოიგო.

დამარცხდა ინდიან უელსის შარშანდელი ჩემპიონი ალექს კორეჩაც (8). ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩში მას ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა აჯობა 4:6, 6:3, 6:4. ბადესთან თამაშის ოსტატისა და უკანახაზელის დუელი ბევრი ლამაზი გათამაშებითა და ათლეტიზმით გამოირჩეოდა, თავგადახოტრილმა ავსტრალიელმაც უდიდესი სიამოვნება მიიღო გამარჯვებისგან: „ბადესთან ალექსს ვუთხარი, ამაზე უკეთ თამაში არც შემიძლია-მეთქი. სამწუხაროა, რომ ასეთ მატჩებში ვინმე უნდა დამარცხდეს. გადამწყვეტ ხელში ერთი პირობა გავიფიქრე, რომ ის ჩემთვის ზედმეტად კარგად ირჯებოდა, მაგრამ ცოტათი გამიმართლა".

როგორც ყოველთვის, პრესკონფერენციაზე რაფტერს მოსალოდნელი გაპენსიონერების შესახებაც ჰკითხეს. „უკვე აღარ შემიძლია ამ კითხვის მოსმენა, ახლა ჩამოვალ მანდ და გემოზე მიგბერტყავ — ხუმრობით დაემუქრა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ერთ ჟურნალისტს — ცოტათი ვნანობ, რომ სეზონის ბოლოს კარიერის დასრულების გეგმების შესახებ ასე საჯაროდ განვაცხადე იანვარში. ახლა ყველა ამაზე ლაპარაკობს, მაგრამ რას იზამ, ისევ ჩემი ბრალია".

**მერვედფინალი: პიტ სამპრასი (3, აშშ) — სებასტიან გროჟანი (16, საფრანგეთი) 6:1, 7:6 (9:7); ანდრე აგასი (4, აშშ) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 6:4, 5:7, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:2, 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 5:7, 6:2, 6:3; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ტიმ ჰენმანი (10, ინგლისი) 6:4, 6:4; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — არნო კლემანი (13, საფრანგეთი) 6:1, 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**



## მონაკოს ტურნირი

# ჭადრაკმა კაზინოში შეაბიჯა

**დღეს** მონტე კარლოში წლის ყველაზე ეგზოტიკური ტურნირი იწყება. მისი თავიდათავი გახლავთ ჰოლანდიელი საჭადრაკო მეცენატი და მოჭადრაკე იონ ვან ოსტერომი, რომელსაც მიმოწერითი ჭადრაკის ერთ-ერთ უძლიერეს მოთამაშედ იცნობენ. ტურნირს ამბერისა ჰქვია და ოსტერომის ქალიშვილის სახელიც ეს გახლავთ. მასში მუდამ ელიტა თამაშობს, მაგრამ ხანდახან მეცენატი პირადი სიმპათია-ანტიპათიის მიხედვითაც არჩევს ხოლმე ხალხს. ათი წელია, ამბერის ტურნირი არ გამოუტოვებია ლიუბომირ ლიუბოევიჩს, თუმცა სხვაგან მას კარგა ხანია, არავინ პატიჟებს. გარი კასპაროვმა ერთხელ თქვა კასპაროვმა, დაფაზე დაუხედავ თამაშს რა მულამი აქვსო და მერე ოსტერომი აღარ შეხმიანებია.

დაფაზე დაუხედავად, იგივე „ბრმად" თამაში მონაკოს შოუს ნაწილია. ცალკე მოჭადრაკეები სწრაფ ჭადრაკს ითამაშებენ და ორივე დისციპლინაში ქულები ცალ-ცალკე დაერიცხებათ. არის ერთიანი ჩათვლაც.

წლეულს თამაშობენ: ვლადიმირ კრამნიკი, ვიშვანათან ანანდი, ანატოლი კარპოვი, ალექსეი შიროვი, ვასილი ივანჩუკი, პეტერ ლეკო, ბორის გელფანდი, ვესელინ ტოპალოვი, ჯეროენ პიკეტი, ლუკ ვან ველი, ლიუბომირ ლიუბოევიჩი და ზოლტან ალმაში. სოლიდური სია გახლავთ. მათგან „ბრმა" ჭადრაკის უეჭველი ფავორიტი კრამნიკი იქნება, რომელსაც სამი წელია, ამ დისციპლინაში პირველი ადგილი არ დაუთმია და მხოლოდ ერთი პარტია წააგო. სწრაფად მოთამაშეებში მეტი კონკურსია. იმავე კრამნიკის გარდა ვერაფრით გამოვტოვებთ ანანდს, შიროვსა და ივანჩუკს. ფიდეს ჩემპიონს ბოლო წლებში ამბერის ტურნირზე თავი ვერაფრით გამოუჩენია. 1998-სა და 2000 წელს მე-7 ადგილები ჩქარ ჭადრაკში და 1999-ის მე-10 პოზიცია დაფაზე დაუხედავად თამაშში ჩემპიონისთვის შეუფერებელია. თუმცა კრამნიკის არ იყოს, ანანდმა კარგად დაისვენა და ახლა ბრძოლის ხასიათზე იქნება. პირიქით, წლეულს თავისუფალი წუთი არ ჰქონია შიროვს. ვიიკ ან ზეეს მოჰყვა ერთი კომერციული მატჩი, მერე ლინრესი, სადაც შიროვი ძირითადი ტურნირის პარალელურად ადგილობრივ უსინათლოსთან თამაშობდა. ყველაფერ ამას მივამატოთ გერმანიის ბუნდესლიგაც, სადაც შიროვი ტრადიციულად აქტიურობს ხოლმე და ვნახავთ, რომ იგი დაღლილი უნდა იყოს, მაგრამ ტურნირის შემდეგ მოჭადრაკე ხშირად დასვენებულზე კარგ ფორმაშია. შიროვიც ძნელად პროგნოზირებადი ვინმეა, ამიტომ მასზე წინასწარ რაიმეს თქმას აზრი ნაკლებად აქვს. ალბათ, რიგიანად ითამაშებს ივანჩუკი, რომელმაც ადრე ვიიკ ან ზეეში იყოჩაღა, ხოლო კარპოვსა და გელფანდს ფავორიტებში არ ახსენებენ. არც ლეკოს, ვისაც მონაკოში დებიუტი ექნება.

დანარჩენი მოჭადრაკეები ცხრილის მეორე ნახევარს შეავსებენ, ცხადია, თუ სენსაციები არ მოხდა...

**დავით გულუა**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გერმანია. ბუნდესლიგა. 26-ე ტური

**17 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | დორტმუნდი-ლევერკუზენი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 18.30 | 003 | შალკე-ფრაიბურგი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.30 | 004 | ჰანზა-ბოხუმი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 18.30 | 005 | კოტბუსი-ჰერტა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 006 | აინტრახტი-ჰამბურგი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.15 | 007 | მიუნხენი-ბაიერნი | 4,0 | 3,0 | 1,85 |

**18 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 20.30 | 009 | უნტერჰახინგი-შტუტგარტი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. 26-ე ტური

**17 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 012 | ნიურნბერგი-ფიურტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 013 | ობერჰაუზენი-ულმი | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**18 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ალენი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 18.00 | 015 | როიტლინგენი-დუისბურგი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 18.00 | 016 | მაინცი-ოსნაბრიუკი | 1,7 | 3,0 | 4,4 |
| 18.00 | 017 | ზანქტ პაული-ქემნიცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 018 | ზანქტ პაული-ქემნიცი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

**19 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 019 | ვალდჰოფი-არმინია | 1,55 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 30-ე ტური

**17 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-სიტი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 021 | ჩარლტონი-ლიდსი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 022 | ჩელსი-სანდერლენდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 023 | მანჩესტერი-ლესტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 024 | მანჩესტერი-ლესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 025 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 026 | ტოტენჰემი-ქოვენთრი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 027 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 028 | საუთჰემპტონი-ევერტონი | 1,8 | 3,0 | 4,2 |

**18 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 029 | ლივერპული-დერბი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 030 | ლივერპული-დერბი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 20.00 | 031 | ასტონ ვილა-არსენალი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### ინგლისი. I დივიზიონი. 38-ე ტური

**17 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 032 | ბლექბერნი-უიმბლდონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 033 | ქრიუ-პორტსმუთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 034 | კრისტალ პალასი-ფულემი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.00 | 035 | ჯილინგემი-უოტფორდი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 036 | ჰადერსფილდი-შეფილდი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 037 | ნორვიჩი-პრესტონი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 038 | ნოტინგემი-ბოლტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 039 | ქუინზ პარკი-გრიმსბი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 040 | უენსდი-ბარნლი | 2,1 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 041 | სტოკპორტი-ბირმინგემი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 19.00 | 042 | ტრანმერი-ბარნსლი | 1,95 | 3,1 | 3,4 |

**18 მარტი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 043 | ვულვერჰემპტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

